

პოლიტიკა

ჩინოვნობები  
პარლამენტს მალე  
დაეშვინდობაინან

იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების დღევანდელი მაღალჩინოსნები ნოემბერში მაჟორიტარებად აირჩიეს, ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელახალ არჩევნებს დანიშნავს, მაგრამ...

A3

ეკონომიკა

საქართველოში  
კომუნიკაციები  
პროგრესული  
სფერო ხდება

მთავრობის მიერ აღიარებულ პრიორიტეტულ სფეროებში კომუნიკაციებიც მოხვდა. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კომუნიკაციებიდან, როგორც შემოსავლების დიდი პოტენციალის მქონე სფეროდან, შემოსავლების ამოღების გაზრდის მიზნით, სტრატეგიის გაუმჯობესებაზეც დაიწყო ფიქრი.

A4

უცხოეთი

ბრიტანელი მოგზარ  
კადავრის ქარავნი  
გამაღწეს

უკანასკნელ დრომდე განკვეთილი ლიბიის ლიდერი 15 წლის მანძილზე პირველად ჩადის ევროპაში. ვალ დიუმეს სასახლის მიმდებარე პარკში კადავრისათვის ბედუინის კარავია გაშლილი. "მე მარტოხელა ბედუინი ვარ, რომელსაც დაბადების მონუმბაც კი არ აქვს," - ამბობს კადავი.

A5

საზოგადოება

გაპანათლომ  
ნარკომანები,  
თუ ნარკომანიის  
შავსიკრება გვინდა

ზიანის შემცირების საერთაშორისო პროგრამა ღია საზოგადოების ინსტიტუტის ერთ-ერთი სტრუქტურაა. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს ნარკოტიკების მოხმარების პრობლემის გადაჭრისადმი ინოვაციური მიდგომების დანერგვას აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში. იგი განსაკუთრებულ მხარდაჭერას უწევს ზიანის შემცირების თეორიაზე დაფუძნებული პროგრამების განხორციელებას.

A6

სამართალი

თელავს  
კომანდოსელები  
"დაესხნენ"

200-მდე ჯარისკაცმა გუშინ, დილით, ბატალიონის ტერიტორია დატოვა და თელავის პოლიციის შენობისკენ გაემართა.

A7

აზიწდი

|           |    |   |
|-----------|----|---|
| თბილისი   | 17 | ☁ |
| ქუთაისი   | 21 | ☀ |
| ბათუმი    | 19 | ☁ |
| სოხუმი    | 23 | ☁ |
| ფოთი      | 21 | ☁ |
| თელავი    | 17 | ☁ |
| ზუბდიდი   | 24 | ☁ |
| ბორი      | 14 | ☁ |
| ახმეტა    | 18 | ☁ |
| ჰიათურა   | 14 | ☁ |
| გაბრა     | 22 | ☀ |
| სამტრადია | 21 | ☁ |

უცხოური ვალუტის  
ოფიციალური კარსი  
ლართან მიმართებაში

|                 |        |
|-----------------|--------|
| აშშ დოლარი      | 1.9850 |
| ევრო            | 2.3623 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5188 |
| რუბლი           | 0.0685 |

ასლანი ასლანის წინააღმდეგ

დავით ბარკანიშვილი  
პარლამენტარი:

1. რა თქმა უნდა, სმირბას მიერ გაკეთებული განცხადება იმის მომა-სწავებელია, რომ აბაშიძის რეჟიმი ირლევია. ასლან სმირბას შესანიშნავი ყნოსვა აქვს, აბაშიძის ხელისუფლებ-ის ანატომიაშიც კარგად ერკვევა და მას არ სურს, ასლან აბაშიძის ხელი-სუფლების ნანგრევებში მოყვეს.

2. ასლან აბაშიძე მაშინაც უპი-

რისპირდებოდა საქართველოს, როცა ასლან სმირბა მისი ერთგული ქვეშევრდომი იყო. თუ სმირბა ახლა გაიზარდა, ესეც ხეირია... ყოველ შემთხვევაში, მისი ნაბიჯი, პრაგმა-ტული თვალსაზრისით, დადებითად უნდა ჩავთვალოთ. ერთსაც დავძენ-დი: შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნა ცუდი იყო, ასლან აბაშიძეს-თან ყოფნა უკვე დანაშაულია.

ბაზრძალუბა A3 ბავრძუბა

შორეული და ახლობელი "საბა"



ქრთამი ქვეყნის ჭიბუბი

სოფიკო ჩხაიძე

პირველად არ ვამბობთ, რომ ბრალდებულთა თავისუფლების სა-ნაცვლოდ თანხის გადახდის ერთა-დერთი კანონიერი გზა არსებობს - სასამართლოს გადაწყვეტილებით გირაოს შეტანა. არადა, ყველას კა-რგად გვახსოვს, დეჟარდ შევარდ-ნაძის ქალიშვილს მეუღლის "გამო-სასყიდად" გირაოს სახით 2 მილიო-ნი ლარის გადახდა არ დანახებია.

ბაზრძალუბა A7 ბავრძუბა

ერაყში ბრძოლები ბრძალდება

ლევან ღირსიაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ერაყის რამდენიმე ქალაქი კვლავ ამბოხებულთა მიერ კონტროლდება, ვამინტონმა უკვე დაიწყო საუბარი ქვეყნის მომავალი მოწყობის შესახებ.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ 30 ივნისს ერაყისათვის სუვერენი-ტეტის მინიჭების შემდეგ, ერაყის დროებითმა მთავრობამ თავისი ძა-ლაუფლების გარკვეული ნაწილი კოალიციას უნდა გადასცეს, კოა-ლიციის ძალები კი კვლავ ამერიკე-ლთა ხელმძღვანელობის ქვეშ უნდა დარჩნენ. "უმნიშვნელოვანესია, რომ კოალიციამ ამერიკელთა სა-რდლობით გააგრძელოს მოქმე-დება, თუნდაც ეს ვინმესთვის ერ-აყული სუვერენიტეტის შეზღუდ-ვას ნიშნავდეს," - აცხადებს კოლ-ინ პაუელი.

ბაზრძალუბა A5 ბავრძუბა

აბაშიძის  
კიდევ ერთი  
დაახლოებული  
ადამიანი  
განუდგა

"დღეს რაც საქართველოში ხდება," ეს არის დიდი სისხლის ტბა," - აცხადებს ბათუმის ყოფი-ლი მერი ასლან სმირბა. მისი მტკი-ცებით, აჭარის ავტონომიის ლიდე-რი ასლან აბაშიძე ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება და მისი ამჟა-მინდელი გარემოცვა არასწორ ინ-ფორმაციებს აწვდის. სმირბა აჭა-რაში შექმნილი ვითარებით შეშფო-თებულია და ადგილობრივ მოსახ-ლეობას განიარაღებისკენ და აბა-შიძისადმი დაუპირისუფლებობისკ-ენ მოუწოდებს. "თუ არ შეწყდება ის, რაც აჭარაში არის - ეს იარაღ-ის, ყუმბარმტყორცნების, ზარბა-ზნების თარეში, ამას აუცილებლ-ად მოჰყვება ტრაგედია. ძმთა სისხლისმღვრელი ომი ჩვენ არ გვინდა," - აღნიშნა სმირბამ გუშინ

ბაზრძალუბა A2 ბავრძუბა

დემოკრატია -  
ესა იგი  
სტაბილურობა!

ზურაბ ყვანას ვიზიტი

ნიკა იმნაიშვილი  
ვაშინგტონიდან  
საპოლიტოლოგ "24 საათისათვის"

ვაშინგტონის ცენტრალურ რა-იონთა მოსახლეობა მეოთხე დღეა, ინტერესით შესცქერის ქალაქის ქუჩებში ხუთჯვრიანი დროშით და-მშვენებული კორტეჟის მიმოსვლ-ას, რასაც გამყარებული სირუნიები ახლავს თან.

ამერიკის დედაქალაქში სტუმ-რები ყოველთვის აინტერესებთ, ხოლო ამ ქალაქის მაცხოვრებელნი ტრადიციულად პოლიტიზებულნი არიან. საქართველოს პრემიერ-მი-ნისტრის ვიზიტი, ამერიკული მზა-რის ინიციატივით, სწორედ ამგვა-რი ანტურაჟითაა ორგანიზებული, რაც ერთის მხრივ ინტერესს გამო-ხატავს, ხოლო მორეს მხრივ, სა-ქართველოს მოქალაქისათვის ნა-მდვილად სასიამოვნოა, როდესაც მისი ქვეყნის წარმომადგენელს,

ბაზრძალუბა A3 ბავრძუბა

ბიუჯეტი - 2004

თამარ ხორბალაძე

2004 წლის ბიუჯეტი საქართველოს პარლამენტში ორშაბათს შევიდა, თუმცა გუშინ საღამომდე ტექნიკური პრობლემების გამო დეპუტატებს ბიუჯეტი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ხელი. სამაგიეროდ, გუშინ უკვე გარკვეული იყო ბიუჯეტის დამტკიცების მაქსიმალური ვადა - როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე აღინიშნა, პარლამენტმა ბიუჯეტის დამტკიცება მაქსიმუმ სამ კვირაში უნდა მოახერხოს. ამთავითვე შეგახსენებთ ძირითად პარამეტრს, რომელმაც თავიდანვე წარმოაჩინა ხელისუფლების გადაჭარბებული ოპტიმიზმი: 2004 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, გასაწევი ხარჯების ოდენობამ 1.728,1 მლნ ლარი შეადგინა, რაც 249,1 მლნ ლარით ანუ 16.8%-ით მეტია 2003 წლის შესაბამის საპროგნოზო მაჩვენებელზე (1.478,9 მლნ ლარი) და თითქმის 400 მილიონით მეტი, ვიდრე გასულ წელს რეალურად გაწეული ხარჯი. "24 საათს" დღეს საშუალება აქვს, გამოაქვეყნოს 2004 ბიუჯეტის შემოსავლებისა და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის საპროგნოზო მაჩვენებლები, რაც წარმოდგენას ქმნის ამ ბიუჯეტის ავტორი ხელისუფლების აზროვნების სტილსა და

ბაზრძალუბა A4 ბავრძუბა

## პრაზიკდენტის პიხვედრა კიჲვი

უკრაინაში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გუშინ უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას ერთი ერთზე შეხვდა. ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა უკრაინულ-ქართული თანამშრომლობის, ასევე საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში თანამშრომლობის საკითხებზე განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება სუუამი-ს ფარგლებში საქმიანობას დაეთმო, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველო ხელმძღვანელობს.

შეხვედრაზე უკრაინის პრეზიდენტმა გამოიციხა აჭარაში დაქირავებული უკრაინელი მებრძოლების ყოფნის შესაძლებლობა; რასაც საქართველოს პრეზიდენტიც დაეთანხმა. **”უკრაინა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და განუხრელად დაცავს მას,”** - აღნიშნა ლეონიდ კუჩმა. საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა კიდევ ერთხელ გამოხატეს საკუთარი პოზიცია ერყმდი ყოფი მრავალეროვან კოალიციაში მონაწილეობის შესახებ და განაცხადეს, რომ ორი ქვეყნის წარმომადგენლები მისიის დასრულებამდე შეასრულებენ მოვალეობას. **”თუ კოალიციის წევრები ვართ, ჩვენ იმ მისიის დასრულებამდე უნდა ვიყოთ,”** - განაცხადა კუჩმამ შეხვედრაზე.

პრეზიდენტებმა ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობის პერსპექტივების შესახებაც ისაუბრეს და ორმხრივი ეკონომიკური პროექტების შესაძლო რეალიზაციაც განიხილეს, მათ შორის - სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში.

24 საათი

## ახაშიქას კიდეჲ ერთი დაახლოებული ადამიანი განადგუ

|                                             |
|---------------------------------------------|
| <span><span>პირველი გვერდიდან</span></span> |
|---------------------------------------------|

საგანგებოდ მონეველ პრესკონფერენციაზე, რითაც ასლან აბაშიძეს ოფიციალურად განუცხა. სმირბას თქმით, აბაშიძე სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს აფხაზეთიდან აჭარაში იარაღის შეტანისა და სამხედრო ბუეიკების შეყვანის წინააღმდეგ. **”საქართველოში სიტუაციის განაწევვაში აფხაზეთი მონაწილეობას არ მიიღებს,”** - დარწმუნებულია ეროვნებით აფხაზი ასლან სმირბა.

სმირბა აყვამად თბილისში იმყოფება. მან გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, სადაც აღნიშნა, რომ იგი, როგორც საქართველოს მოქალაქე და ადამიანი, რომელიც ბათუმში წლების განმავლობაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა, თავს ვალდებულია მიიჩნევს, აჭარის მოსახლეობა მოსალოდნელი მძათამკვლელი ომის შესახებ გააფრთხილოს.

სმირბა ქალაქის საშუალო სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს მოუწოდებს, არ დაემორჩილონ ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნებს ჩოლოქზე საპროტესტო აქციებში გამართვასთან დაკავშირებით და სკოლებში სწავლის პროცესი დროებით შეწყვიტონ. ბათუმის ყოფილი მერმა იმედი გამოთქვა, რომ მისი თანაქალაქელები მის ამავე, მის მონდობას დაფასებენ და უმართავ პრეცედს თავიდან აიცილებენ. **”მე ჩემი თანაქალაქელების იმედი მაქვს,”** - აცხადებს იგი.

სმირბას ოჯახი აყვამად ბათუმში არ იმყოფება, თუმცა, როგორც ბათუმის ექსპრტი აცხადებს, მათ საფრთხე მიანიც ემუქრებათ. **”ჩემი შვილი მოსკოვში სწავლობს. ერთ-ერთი მალაქონისანი, რომელიც ახლა მოსკოვშია, იმუქრებოდა, რომ ასლან სმირბას თუ არა, მის შვილს მაინც მისწვდამდნენ. მას რომ რაიმე შეემთხვეს, მთელი პასუხისმგებლობა აჭარის ხელმძღვანელობს და მის ლიდერს დაეკისრება,”** - აღნიშნა სმირბამ, თუმცა ზემოაღნიშნული ჩინოფიკის ვინაობა არ დაუკონკრეტებია.

24 საათი

## თეთრ კბილას ზეუძლია, ადამიანის ცხოვრებას უცხოვალოს



კომპანია **ultradent-ის** მნიშვნელოვანი სახელედი აქვს. მათ შესახებ სტომატოლოგებს და ახალი სამედიცინო ტექნოლოგიებით დაინტერესებულ პირებს გუშინ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (სდასუ) საგანგებო ლექციით აცნეს. ლექცია წაითხა **ultradent-ის** ექსკლუზიურმა წარმომადგენელმა საქართველოში, ბატონმა სტივ გერბერმა.

სტივ გერბერი თორმეტი წლის წინათაც ყოფილა საქართველოში და თან წაუყვანია ერთი ქართველი სტუდენტი გოგონა, რომელსაც დღეს საკუთარი, საკმაოდ პრესტიჟული კლინიკა აქვს ლოს-ანჯელესში. ერთი რეზიდენტის წაყვანას ამერიკის მეერთებულ შტატებში ბატონი გერბერი ახლაც გვგმავს.

**”სტომატოლოგია მუდმივად იცვლება და მე არ ვარ ემაყოფილი იმით, რაც გუშინ გავაკეთე. ჩვენი პროფესცია 96 ქვეყანაში გამოიყენება. მე მიყვარს ultradent-ის პროდუქტები; ყველაფერი პლასტიკატის მასალით არის დამზადებული და მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს”,** - განაცხადა სტივ გერბერმა და კომპანიის უკანასკნელი მიღწევების დემონსტრირება მოახდინა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კბილის ემალის გასათეთრებელმა საშუალებებმა. **”კბილის სიყვითლის მიზეზი შეიძლება იყოს ფლუროზი, ტეტრაველეონი ან, სულაც, მკვდარი კბილები. დღეს ამის გამოსწორება შესაძლებელია. კბილის გასათეთრებელი კვლევების ხარისხი სტომატოლოგიაში ყველა სახის კვლევის აღემატება”,** - გვარწმუნებს სტუმარი.

ქართველ სტომატოლოგებს ამ პროდუქციის სრული პაკეტის შეძენა გუშინ 25- პროცენტიათი ფასდაკლებით შეეძლო. უნდა ითქვას, რომ მაქსიმუმად ორგანიზაციამ უცხოელ სტუმრებზე ამჯერადაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. **”ოც-ამავერთო საუკუნის დასაწყისში მოხდა რევოლუცია სტომატოლოგიაში. განსაკუთრებით განვითარდა არჩების დამუშავების მეთოდები, მისი შედეგდაც შესაძლებელია გაუვალი არჩების და არჩების ცვლილებების შედეგად მოღრეცილი ფსევბის გახსნობება. ეს იმასაც ნიშნავს, რომ პირის ღრუ ჯერ იქნება ინფექციების წყარო. დასაუ-ში უკვე მიიყვან კონფერენცია სტომატოლოგიაში, რომლის დამსწრე უცხოელმა სტუდენტმა დაჯილდოვებაც გამოიქვევს სდასუ-ს ტენერ-კათედრით; მას საფარველია ანალიზი არ მოეძებნება”,** - აღნიშნა კათედრის გამგევე, აკადემიკოსმა ლია ქლიძემ, რომელიც სდასუ-ს რექტორმა თეიმურაზ ქორიძემ გუშინ იმავე დარბაზში საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა საპატიო დოქტორის ხარისხითა და ოქროს მედლით.

***თამარ ჯაფარიძე***

## უძველესი ქვაყნის 56-ე იუზილა



***ელჩმა ისრაელ-საქართველოს სიდღერძედო ყველას დააღვივნა***

გუშინ ისრაელმა დამოუკიდებლობის 5ნ-ე წლისთავი აღნიშნა. ამ საზეიმო თარიღთან დაკავშირებით საქართველოში ისრაელის საელჩოში მიღება გამართა. სასტუმრო ”ქორთიარდ მარიოტში” 500 სტუმარი იყო დაბარტყებული - ყველა ოფიციალური პირი, მათლი დიპლომატიური კორპუსი, სათვისტომოსა და ინტელიგენციის წარმომადგენლები.

საზეიმო მიღება ორი ქვეყნის პრმინთა და ისრაელის აღმ-შენებლობის შესახებ ფილმის ჩვენებით დაიწყო. შემდეგ კი ისრაელის ელჩმა, ქალბატონმა რიკვა ქუნენმა საქართველოსა და ისრაელის სადღერძედო ყველას დააღვივნა.

***ზაზა ფაჩუაშვილი***

## დააქავეს კონტრაბანდა, მოვასაბულო მილიონ ლარად

ფინანსური პოლიციის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოში ეჭვმიტანილად ცნეს და დააკავეს რეგიონული საბაჟო აღმოსავლეთის გამრეები უნეტქის - ”შტკვიის” მეზაფე გივი სეთურიძე. ფინანსური პოლიციის ოპერატიულმა დეპარტამენტმა რუსთათთან, ”აზოტის” მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავა კონტრაბანდული საკონდლი დატვირთული ”კამაზის” და ”პაზის” ტიპის ავტომანქანები. აზერბაიჯანის საზღვარი მათ საბაჟო უნეტქ ”შტკვარზე” გადმოქვეთეს. ფინანსურ პოლიციას უკვე დაკავებული ჰყავს ამ დანაშაულის მონაწილე მრავალდებულები, საქართველოს მოქალაქეები - ვასიფ ახმედოვი, ჯგაწამირ სულეიმანოვი და ალი მესტიევი.

მათი ჩვენებითა და სხვა მტკიცებულებებით ირკვევა, რომ მეზაფე გივი სეთურიძემ, წინასწარი მოლაპარაკების თაწანხმად, გაზაფხუბისა და დანბრკოლებების გარეშე საქრთველოს ტერიტორიაზე გადმოიტარა კონტრაბანდა, რომელიც მილიონ ლარზე მეტად არის შეფასებული.

მეზაფე გივი სეთურიძის მიმართ სისხლის სამართლის დევნა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჩადენილი საბაჟო წესის დარღვევის” (კონტრაბანდა) და ”სასაზღვრებრივი უფულე-ბაჟისრეგების პირობებად გამოყენების” მუხლებით მიმდინარეობს.

დაკავებული თბილისის პოლიციის წინასწარი დაკავების საკანშია გადადგენილი. აღმკვეთი ღონისძიების მოთხოვნით ფინანსური პოლიცია სასამართლოს დღეს მიმართავს.

24 საათი

## ჭილდოები განერალხსა და ოფიცრებს

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ საქართველოში კანონიერებისა და მართლმსირობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისთვის გენერლები და ოფიცრები სახელმწიფო მედლებითა და ორდენებით დააჯილდოვა.

საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების თანახმად, 39 სამართალდამცველს ჯილდოები გადაეცათ ”გაერთიანებული საერთული ბანკის” სამეთავალყურეო საბჭოს თანათამჯდომარის თამაზ მაღალაკელიძის გათავისუფლებისთვის, ”საქართველოს რწინეზის” ყოფილი გენერალური დირექტორის აკაკი ჩხაიძის დაკავებისა და სჯენითში, სოფელ ეცერში ჩატარებული ანტიკრიმინალური ღონისძიების დროს გამოჩენილი მამაცობისთვის.

მედლით ”საბრძოლო დამსახურებისთვის” დაჯილდოვდა შს მინისტრის მოადგილე ავთანდილ ანთაძე, ”შეღრული მამაცობისთვის” კი შს-ს შინაგანი ჯარების განადლი გიგეი თავთუხაშვილი დააჯილდოვეს. ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი თბილისის შს მთავარი სამმართველოს უფროსს ლევან მაისურაძეს ერგო, მესამე ხარისხის ორდენით კი გია გულუას სახელობის პოლიციის სპეცდანიშნულების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ქაჯავია დაჯილდოვდა.

”ვემსახურებთ საქართველოს” - ამ სიტყვებს გუშინ დაჯილდოებული გენერლები და ოფიცრები ამბობდნენ.

”ეს სიტყვები ნიშნავს იმას, რომ ყველა მოქალაქე უნდა ემსახურებოდეს საუთნად ქვეყანას - საქართველოს და არა სხვას. პოლიცია მუდამ მზად იქნება, თავი განიროს ხალხის სიმშვიდისა და უსაფრთხოებისთვის,” - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე.

24 საათი

## ზისყიდვების სააბნოო სოროსის ფონდის წინააღმდეგ

საქართველოს შესყიდვების სააგენტოში მიიჩნევენ, რომ სოროსის ფონდს სააგენტოს სისტემის დანგრევა სურს. სააგენტოს ცნობით, ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით ჩამოყალიბდა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ”ღია სააზოვადობა - საქართველოში” მიერ ფინანსდება. იგი სახელმწიფო შესყიდვებში მიმდინარე რეფორმის წინააღმდეგ გამოდის და მის შეწერებას მოითხოვს. **”ამ დროს კი შესყიდვების სააგენტოში რეფორმა მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით ხორციელდება,”** - აცხადებენ სააგენტოში. **”ეს ჯგუფი ცდილობს, რათა კანონი არ გავრცელდეს იმ სახელმწიფო სანარჩოებზე, რომლებიც მოსახლეობის სატრანსპორტო, საკომუნიკაციო და სხვა სახით მომსახურებას ახორციელებენ,”** - მიიჩნევენ სააგენტოში და მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, აღნიშნული ჯგუფის რეკომენდაციები არ გაითვალისწინოს, ვინაიდან **”ეს რეკომენდაციები ”მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს” მოქმედი საკანონმდებლო ბაზის წინა საუკუნეში დაბრუნებას; კერძოდ, 1998 წლის დონეზე, როდესაც პირველად მიიღეს კანონი ”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ”.** ეს კანონი 2001 წელს ცვლილებების შეტანამდე პრაქტიკულად არ მოქმედებდა.

**”ამ სანარჩოთა სახსრების ხარჯვის მექანიზმი საზოგადოებისთვის უცნობია და ხშირად მოსახლეობის მიერ გადასაბდელი ტარიფი ცალკეული ჩინოვნიკების ვიოაცებისა და კომფერტული ცხოვრებისთვის ეალებუდ სახსრებს მოიცავს. იგი ასევე ნაყოფიერი ბაზა იქნება ე.წ. ფულის გარეცხვა-გათიფებისთვის,”** - აცხადებენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

”24 საათი” დანეროლებით უკვე წერდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების შესახებ, რომელთა შორის ზემოთ მოხსენიებული უნეტქი მკვეთრად გამოხატული არ ყოფილა.

24 საათი

## მე-9 კლასში ტანტირაზა უქმდება

გუშინ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია და სკოლამდელი აღზრდის, საშუალო განათლებისა და ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი მიხეილ მინდაძე თბილისის 23-ე სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე მინისტრმა ოფიციალური განცხადება გააკეთა მე-9 კლასში საყოველთაო ტესტური გამოცდების გაუქმების შესახებ. მინისტრმა განაცხადა ისიც, რომ მე-6, მე-9 და მე-11 კლასებისთვის ატესტატების, ბლანკებისა და ნიმუშის ფურცლებისთვის საგალდებულო მოსაწერებლები გაუქმდება და მათ სახელმწიფო უზრუნველყოფს.

მეცხერ კლასში მოსწავლეთა ცოდნის შეფასება მხოლოდ წლიური ნიშნებით მოხდება.

რაც შეეხება ბოლო წლების ტესტური გამოცდების პრაქტიკას, მან ერთი უარყოფითი ტენდენცია დაამკვიდრა, რომელიც სასწავლო პროცესს ძალას აცლის - მოსწავლეები ემზადებიან მხოლოდ ამ გამოცდებისთვის და ამ ბარიერის გადალახვა თვითმზანი ხდება. მინისტრის რწმენით, წლიური შეფასება საკმარისი უნდა იყოს, როგორც ცოდნის ღირნის დასადგენად, ასევე, ცოდნის შეძენის მოტივაციადაც.

რაც შეეხება ატესტატებსა და ნიშნების ფურცლებს - ატესტატები გაიცემა მხოლოდ მეთერთმეტე კლასში; მეცხრე კლასში კი - იმ მოსწავლეებზე, რომლებიც სპეციალურ სასწავლებლებში გადაღვენ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში საკმარისია ნიშნების ფურცლები.

ატესტატებისა და ნიშნების ფურცლების ღირებულებას (საშუალოდ, 45 ათასი ლარი) სახელმწიფო გადაიხდის.

24 საათი

## ახალმა მირამ მამკიძერაიოხად მიიღო სკოლა-არაგონდა

***აელაბარში საიათნოვას სახელობის 98-ე რუსული სკოლაა, რომელსაც მალე ახალ შენობაში შესასვლელი თქმენ. თემიკა, როდის იქნება ეს მალე, ჯერ ნათელი არ არის. 98-ე სკოლა, დამპროექტებულების ნებით, ყმინად სამტრის ტაძრის მშენებლობის ზონაში მოხვდა, ამასთან დაკავშირებით მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ იქვე, მარტყოფის ქუჩაზე მისთვის შენობა აშენებულიყო.***

სკოლის დირექტორის მიხეილ თათევოსიანის განცხადებით, მშენებლობის დაფიქსირება 2003 წლის ქალაქის ბიუჯეტში ჩაიღო და მერის საშახურის (კომუნალური მომსახურების სამმართველოს) მიერ გამოცხადებულ ტენდერში ერთ-ერთმა ფირმამ გაიმარჯვა (სკოლის დირექტორმა გამარჯვებული ფირმა ვერ გაიხსენა). 2003 წლის ოქტომბერში, სკოლის წარმომადგენლებთან შეხვედრის დროს ქალაქის მაჟინდელმა მერმა მათ აღუთქვა, რომ მომავალ სასწავლო წელს ახალი სკოლა ექნებოდათ. ასეთივე გარანტია მისცა სკოლის ხელმძღვანელობას ტაძრის მშენებლობის ფონდის ხელმძღვანელმა ირაკლი ანდროიძემაც.

ამჟამად, როგორც სკოლის დირექტორი თათევოსიანი აღნიშნავს, ტაძრის მშენებლობა გრძელდება, მორი-ახლის შენდება პრეზიდენტის რეზიდენციაც, მაგრამ სკოლის ასაშენებელ პირველი ავტორ არ დადგებულა.

სკოლის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ქალაქის მერს შეუძლია ამ საქმის ადგილობრივ დაძვრა და საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს ამ კუთხით დახმარებას სთხოვს: ”ზატონი არ პრეზიდენტი, ბატევეციებით ტოხოვით, დაავალოთ ქალაქის მერს, რომ თქვენ საქმის კურსში ჩავაყენოთ. მხოლოდ ქალაქის მერს შეუძლია, გამოძიებოს სკოლის მშენებლობისთვის აუცილებელი ფინანსები”.

**P.S.** სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეთა მშობლები იმის გამოე შიშობენ, ამასთანამ მარტყოფის ქუჩაზე მიჩენილი ადგილი ”თადარიგაინამ” ადამიანებმა ვინმეს არ მიჰყიდონ.

***დალი კუბრავა***

## ფოთი წვრთნახისტოვის ემზადება

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მიერ 30 აპრილიდან - 2 მაისამდე ფოთში დაგეგმილი წვრთნების ჩასატარებლად აქტიური მზადება მიმდინარეობს. საორგანიზაციო საკითხებს უშუალოდ გენერალური შტაბის უფროსი გივი იუკერიძე ხელმძღვანელობს, რომელიც ამჟამად ფოთში იმყოფება. როგორც მან განაცხადა, წვრთნებში მონაწილე ქვედანაყოფების ნაწილი დისლოკაციის ადგილებზე უკვე განლაგდა, ნაწილი კი ფოთის სანაპიროს 29 აპრილამდე დაიკავენს.

წვრთნებში, რომლის სახელწოდებება ”დიოსკურია-2004”, მონაწილეობას მიიღებს ”წვრთნისა და აღჭურვის” ქართულ-აშერიკული პროგრამის ფარგლებში მომზადებული მე-11 მექანიზებული-მოტომსროლელი პრიგადის თელავის 111-ე ბატალიონის სრული შემადგენლობა, ამავე პრიგადის ”კომანდოს” და 113-ე ბატალიონის ასეული და სამეთაურო შტაბები. გარდა ამისა, წვრთნებში ჩაერთვება საზღვაო თავდაცვის ძალები და საჰაერო ძალები, სულ 2000-მდე სამხედრო მოსამსახურე.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, წვრთნების მიზანს სამხედრო ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის შემოწმება და სამეთაურო შტაბების და ქვედანაყოფების კოორდინირებული მოქმედებების დახვეწა წარმოადგენს.

წვრთნების დროს გათამაშდება არასამომარი სამხედრო ოპერაციის სცენარი, რომელიც ფოთი-ქუთაისის მიმართულებით განხორციელდება. სწავლების სცენარის თანახმად, ქვედანაყოფების ამოცანას წარმოადგენს ნავთობსადენის დაცვა ტერაქტებისაგნ, ტერიტორიაზე არსებული ნარკოტიკების გადამაშუყებელი მინილაბორატორიების განადგურება, გართულებული კრიმინოგენული ვითარების გამოსწორება და მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა.

ათვისაიყის გეგმას მთლიანად მე-11 პრიგადის სამეთაურო შტაბი ადგენს და მისი ინსტენტირება ფოთის მიმდებარე ტერიტორიაზე ხდება. **ინტერ-პრესი**

## აჭარაში თბილისიდან გაგზავნილ სასაქანს არ იღებენ

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის დავით შერვაშიძის და აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის როსტომ ჯაფარიძის საუბარი, რომელიც ჩოლოქის საზღვარზე დახურულ კარს მიღმა ნახევარი საათი გრძელდებოდა, უშედეგოდ დასრულდა. ”ვინაიდან აჭარაში საგანგებო რეჟიმი მოქმედებს და ტვირთების გადაადგილება შეზღუდულია, ჩვენ სოფლის მეურნეობის მინისტრის შევითავსეთ, რომ ტვირთის დასაწყობება ქობულეთში მომდგარიყო,” - განაცხადა აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ როსტომ ჯაფარიძემ. ამ გადაწყვეტილებით აღმფრთხილება დავით შერვაშიძე. მისი განცხადებით, მათ სასულე ფერმერებისთვის ჩამოიტანეს და არა საწყობებისთვის. ”ჩვენი მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ რომელ რეგიონში გადავიტანოთ სასურთი დატვირთული მანქანები და აჭარაში შემოვიტანო მათმ, როცა ამის ნება იქნება,” - აღნიშნა შერვაშიძე. მინისტრის განცხადებით, ის ამ უტკითი შეურაცხყოფილია.

ჩოლოქის ადმინისტრაციული საზღვარი ტავით შეგრავიქემ და სასურთი დატვირთულია, ”კამაზის” ტვირთი თოხნა სატვირთო მანქანამ გუშინ, დღის პირველ ნახევარშივე დატოვეს.

ამავე დროს, საპროტესტო აქცია ჩოლოქის საზღვარზე კვლავ გრძელდება, აქ კვლავ ადამიან მომიჯნაუბელთა ადამიანები, რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ”სახალხო დაცვის ლიგის” თავმჯდომარე ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ერყმდი ქართველი სამშვიდობოების კონტინგენტის შესაძლო გაზრდის გამო, აღშფოთებულია და მიარჩია, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ერყმდი ქართველი ჯარისკაცების გაგზავნით ცდილობს, საკუთარი ხელისუფლება გაამყაროს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■ **თბილისი.** საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიხარდ მაილსმა წერილი გაუგზავნა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს და ბოდიში მოუხადა იმის გამო, რომ ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ სდომბას არ ეწნრებოდა.

როგორც ელჩი წერილში აღნიშნავს, იგი ინფორმირებული არ იყო, რომ სისიაზე დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მინეველირი იყვნენ. ”ამის შესახებ მხოლოდ სესიის გახსნის შემდეგ შევიტყვე. მივიღე სათანადო ზომები, რათა მომავალში ეს არ განმეორდეს”, - წერს მაილსი. აშშ-ს ელჩი ბურჯანაძეს სპიკერად არჩეულსაც ულოცავს:

”მე და ჩემი კოლეგები სიამოვნებით ვვლით თქვენთან თანამშრომლობის თქვენი მოვალეობების შესრულების პერიოდში”, - ნათქვამია მაილსის მიერ ნინო ბურჯანაძისადმი მიწერილ წერილში. **მედია-ნუსი.**

■ ■ ■ **თბილისი.** ”შენწყდეს ჩოლოქის ზაცია” - ამ ლოზუნგით გაიმართა საპროტესტო აქცია მოძრაობა ”ჩვენი აჭარა!” ოფისის წინ. აქციის ორგანიზატორი ოპოზიციური მოძრაობის მხარდმჭირი 50-მდე ქალბატონი იყო. ისინი აჭარის ხელისუფლებისგან იარაღის ჩაბარების პროცესის დაწყებამდე დაჩქარებას და ჩოლოქზე ხალხის მომიჯნააციის შეწყვეტებას მოითხოვენ. როგორც აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნაზი მიქელაძემ განაცხადა, თუ ხელისუფლება დროზე არ მოგვება გონს და ჩოლოქზე ხალხის მოძრაობის თავისი სურვილებში შეზღუდვას არ შეწყვეტს, მაშინ, ახლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით, ბათუმში საპროტესტო ა

# დემოკრატია - ესა იბი სტაბილურობა!

### პირველი გავრდიდა

მსოფლიო ზესახელმწიფოს დე-დაქალაქში, ასეთი პატივით ხვდე-ბიან.

ვიზიტის პირველივე დღეს ნათელი გახდა, რომ ეს ვიზიტი და დაგეგმილი მოლაპარაკებები ჩვეულვებრივ და ორდინარული ნამდვილად არ იქნება, ვინაიდან ორივე მხარე ვიზიტისაგან მნიშვნელოვან შედეგს ელის.

ასეთია ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება, რომელსაც, ნარსულის მწარე გამოცდილებით, აღარ სურს, "დაიღალოს საქართველოს პრობლემებით" და ცდილობს, ამთავითვე დაადგინოს, რამდენად აუწყო ფეხი ქვეყნის ახალმა ადმინისტრაციამ (პრეზიდენტმა და მინისტრთა კაბინეტმა) სრულიად ახალ გამოწვევებს და იმ მოთხოვნებს, რასაც თანამედროვე საქართველოს მსოფლიო ზესახელმწიფო ყოველმხრივი მხარდაჭერის გასაგრძელებლად უყენებს.

ეს გახლავთ, უპირველესად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და (რაც კიდევ უფრო ნიშანდობლივია ამერიკელებისთვის) მთავრობის ქმედუნარიანობის უზრუნველყოფა - გადასახადების აკრეფის სფეროში არსებულ პრობლემებზე გაუთავებელი წუნუნის შეწყვეტა, არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება და უშიშროების საკითხებში გამინგტონის შემოთავაზებული "თამაშის წესთა" გაზიარება, რაც აგრეთვე არ იქნება იოლი, ვინაიდან ითვალისწინებს რთულ ურთიერთმოქმედებას რუსეთთან.

ინტერესის მაჩვენებელი კი შეხედრათა დინე და მინარსია: პირველივე დღეს ზურაბ ჟვანია შეხვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს, მეტ ბრაიზას, რომელიც რე-

გიონში ამ ორგანოს მიერ გამომუშავებული პოლიტიკის მთავარი "არქიტექტორი" და კონდოლიზა რაისის უახლოესი თანაშემწეა.

საუბარი დახურულ კარს მიღმა გაიმართა და, ჩვენი ინფორმაციით, შეეხო ყველა იმ საკითხს, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ მდგერადობას განსაზღვრავს: აჭარის პრობლემატიკიდან - ეკონომიკურ ვითარებამდე; ამერიკის ადმინისტრაციამში შესანიშნავად ესმით, რომ "გარდამავალი დემოკრატიებისათვის" ეკონომიკა სტრატეგიული უსაფრთხოების საკითხია და არა მხოლოდ სოციალური სტაბილურობის სფეროს განეკუთვნება.

ზურაბ ჟვანია იმავე საკითხებზე შეხვდა კონდოლიზა რაისს, სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელს, რამდენიმე ყველაზე გავლენიან სენატორს, ამერიკის ენერგეტიკის მინისტრს, აგრეთვე ზბიგნეე ზჟე-ზინსკის და სხვებს.

კონდოლიზა რაისთან შეხვედრისას გამოიკვეთა, თუ კონკრეტულად რას ელის ამერიკა "ახალი საქართველოსაგან": უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში განვითარებადი სტაბილურობის(!) უზრუნველყოფას. ანუ არა მხოლოდ და არა უბრალოდ სტაბილურობისა, არამედ სწორედ განვითარებადი სტაბილურობის. "ჭაობთან" ურთიერთობის და თანამშრომლობის სურვილი ამერიკელებს ნამდვილად არა აქვთ. გარდა ამისა, დისკურსი მოიცავდა აჭარის პრობლემის მშვიდობიან გადაწყვეტას (ოღონდ ამერიკული მხარე არ გამორიცხავს პოლიტიკური და ეკონომიკური ზემოქმედების მეთოდებს), რუსეთთან ურთიერთობათა შემდგომ დათბობას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას და ასე შემდეგ.

გეოპოლიტიკურ და სტრატეგი-



ზურაბ ჟვანიას და კოლინ პაუელის ერთობლივი ბრიფინგი.

ულ კვლევათა ცენტრში ზბიგნეე ზეჟინსკისთან გამართული შეხვედრის შემდეგ, ფართო აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოსვლისას ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ახალი ხელისუფლების პირველი წარმატება არის არა მხოლოდ "განესტერების ეპოქის დასრულება" (პრემიერი რესპექტაბელურ განცხტერებსაც გაულისხმობდა), არამედ იმ ინსტიტუტების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყ-

ნის სტაბილური განვითარება. "ამიტომაც, ამერიკაში ჩამოვედით არა ჩვენი პრობლემების დიდი სიოთ, არამედ პროგრამების ნუსხით, რომლებიც ამ პრობლემათა გადაწყვეტას ისახავს მიზნად," - აღნიშნა პრემიერმა.

რაც შეეხება ახალი ხელისუფლების უმთავრეს "თავის ტკივილს" - აჭარის მმართველ რეჟიმს, ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ ეს არ არის დისკურსი ცენტრსა და აჭარ-

ას შორის და არც პიროვნული ურთიერთობების პრობლემა, არამედ ყველაფრის მიზეზია ასლან აბაშიძის პირადი აღქმა: "მას, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია თავი დემოკრატიული საქართველოს სისტემის შემადგენლობაში." ანუ ასლან აბაშიძე წარსულში დარჩა, ხოლო დროსთან ჭიდილი ყველა პოლიტიკოსისათვის სრულიად უპერსპექტივია.

ყველა შეხვედრაზე მოთხოვნა

# რიწონიქაზი პარლამენტს მალე დაეგვიდოებოიან

საქართველოს გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი, ჯანდაცვის მინისტრი გივი წერეთელი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში დავით მუშლაძე, იუსტიციის საბჭოს მდივანი გია გენაძე კვლავაც მაჟორიტარი დეპუტატები არიან, რადგან ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ პირველსავე სხდომაზე, სხევითან ერთად, მათი უფლებამოსილებაიც ცნო (ორ ნოემბერს დღევანდელმა მაღალჩინოსნებმა მაჟორიტარული ომები გორის, მთაწმინდის, დიდუბის, ზესტაფონისა და კრწანისის საარჩევნო ოლქებში მოიგეს).

თუმცა, დაახლოებით, ათ დღეში იგივე პარლამენტი მათ უფლებამოსილებებს შეუწყვეტს, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებში, სადაც ადამიანთა ლეგელი ხელისუფლების დღევანდელი მაღალჩინოსნები ნოემბერში მაჟორიტარებად აირჩიეს, ცენტრალური საარჩევნო კომისია ხელახალ არჩევნებს დანიშნავს.

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა დიმიტრი ქიტოშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონი არ ირღვევა და ინტერესთა კონფლიქტს ადგილი არ აქვს (შეგახსენებთ, რომ საარჩევნო კანონმდებ-

ლობა ერთი და იგივე პიროვნების აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოში პარალელურად მუშაობას ცალსახად კრძალავს). მისივე განცხადებით, პარლამენტის წესებისა და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი ორ-ორ სკამზე მსხდომ მაღალჩინოსანთა საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავს და უკვე მომავალ სასესიო კვირას ისინი პარლამენტს ოფიციალურად დაემშვიდობებიან.

რაც შეეხება ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებს: კენჭისყრა, შესაბამისად, კრწანისის, დიდუბის, მთაწმინდის, გორის, ზესტაფონის საარჩევნო ოლქებში უნდა გაიმართოს. ოღონდ - როდის, ეს ჯერ არავინ უწყის.

ცესკო-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დიმიტრი ქიტოშვილის თქმით, კანონის თანახმად, ხელახალი არჩევნები ორი თვის ვადაში უნდა დაინიშნოს. თუმცა, ცესკო-ში შიშობენ, რომ კენჭისყრა არათუ მაისში, არამედ ივნისშიც ვერ გაიმართება. ივლისსა და აგვისტოს კი საარჩევნო კანონმდებლობა არ ცნობს, ანუ ამ თვეებში კანონი არჩევნების გამართვას კრძალავს, რადგან ეს ორი თვე ეწ. საშველულებო თვეებია და ამომრჩეველთა ძირითად ნაწილს საკუთარი საცხოვრებელი ადგილი დროებით დატოვებული აქვს.

ასე რომ, არ არის გამორიცხუ-

ლი, მაჟორიტარული არჩევნები სექტემბერში გაიმართოს. ჩვენი ინფორმაციით, ამ ოლქებში კენჭისყრის სურვილი ხშირადღა არავის გამოუთქვამს. თუმცა, "შინაურულად", პარტიების ლიდერები უკვე მსჯელობენ იმ საგარაუდო კანდიდატურებზე, რომლებსაც ამ ოლქებში ნამოაყენებენ.

რაც შეეხება იმ მაჟორიტარებს, რომელთა უფლებამოსილება პარლამენტში არ ცნო: მარიკა ვერულაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის საკითხი თითქმის გადაწყვეტილია, რადგან მათ ნარკოლოგიური შემონმება (მართალია, დავიანებით, მაგრამ მაინც) გაიარეს. გაცილებით ბუნდო-

და ძირითადი ინტერესი ერთია: რამდენად ქმედუნარიანი იქნება ახალი ადმინისტრაცია ქვეყნის წინაშე არსებული რეალური ეკონომიკური და სტრატეგიული პრობლემების გადაჭრაში.

შესაბამისად, რამდენად უნდა ენდოს "ახალ თბილისს" გამინგტონი და ითანამშრომლოს მასთან სტრატეგიულ საკითხებში.

ესე იგი, შესაძლებელია თუ არა, ეს თანამშრომლობა არ დარჩეს რიტორიკის დონეზე ისევე, როგორც მრავალი პოსტსაბჭოური ქვეყნის შემთხვევაში ხდება, რომელთანაც ამერიკას არა ისეთი ცუდი, როგორც ვთქვათ ბელორუსთან, მაგრამ სრულიად უღიმღამო და უპერსპექტივო ურთიერთობა აქვს.

როგორც ჩანს, ამ ვიზიტისას ზურაბ ჟვანიას ამოცანაა, დაუმტკიცოს ამერიკელებს, რომ საქართველოს შემთხვევაში სხვა ფნომენთან ექნებათ საქმე.

გამინგტონში გარკვეული იმედი ამასთან დეკაემრებით არსებობს, რაც ახალი ხელისუფლების პირველმა ნაბიჯებმა განაპირობა, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია და მთავრობის ხელმძღვანელს ვაშინგტონში მკაფიო ვალდებულებათა აღება მოუწევს. თანაც არა მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდში, არამედ თეთრ სახლსა და კონგრესში.

თუმცა, პრემიერ-მინისტრის პირველი განცხადებები და შეხვედრები იმას მეტყველებს, რომ იგი საბძოლოდ არის განწყობილი.

საერთოდ, ამერიკაში ვიზიტი არასდროს ყოფილა "გასიერნება". ყოველ შემთხვევაში, იმ ქვეყნის წარმომადგენლისთვის, რომელსაც არ სურს, იჩაწალოს მსოფლიოს არიერგარდში და განვითარების პერსპექტივის შეწარუნებისთვის იბრძვის.

24 საათი

# ევროსაბჭო საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებასაც დაეხმარება

საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ურთიერთობებში ხშირად იჩენს ხოლმე თავს გაუგებრობები. ეს, ძირითადად, იმის ბრალია, რომ მათი უფლებამოსილებები გამიჯნული არ არის. კანონმდებლობაში არსებული ვაკუუმის შევსებამდე, ჩვენს ქვეყანას დახმარების ხელი ევროსაბჭომ გამოუწოდა. მისი მხარდაჭერითა და დაფინანსებით ფუნდებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების ეროვნული ასოციაცია, რომლის მთავარი ფუნქცია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის შუამავლის როლის შესრულება იქნება.

#### გიორგი ასანიშვილი

ამ წამოწყების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია ევროსაბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი ჟან კლოდ ფრეკონი, რომელმაც გაუშინ ევროსაბჭოს საქართველოს საინფორმაციო ბიუროში პრესკონფერენცია გამართა. მისი განცხადებით, პროექტის სარეალიზაციოდ შეიქმნა საორგანიზაციო ჯგუფი, რომლის მუდმივი წევრები არიან რაიონული საკრებულოებისა და მუნიციპალიტეტების

წარმომადგენლები, აგრეთვე ქალაქის მერები. ჯგუფის ხელმძღვანელია რუსთავის საკრებულოს წევრი მამუკა აბულაძე, რომლის თქმითაც, ეროვნულ ასოციაციაში აჭარის წარმომადგენლის შეყვანის საკითხი მას შემდეგ გადაწყდება, როდესაც ცენტრსა და ავტონომიას შორის დღეს არსებული დაპირისპირება აღმოიფხვრება.

ჟან კლოდ ფრეკონის განმარტებით, საორგანიზაციო ჯგუფის მუშაობაში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს თითო წარმომადგენელი სახელმწიფო კანცელარიიდან და პარლამენტიდან, აგრეთვე ადგილობრივი და საერთაშო-



ევროსაბჭო კანონმდებლობის მიღებამდე დაეხმარება საქართველოს.

დღის პატივსა

# ასლანი ასლანის წინააღმდეგ

### პირველი გავრდიდა

**პაპლატ ჟიააჰვილი**, აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი:

1. სმირბას საქციელი სულაც არ არის გასაკვირი. იგი დიდი ხანია, რაც ასლან აბაშიძის გვერდით არ იმყოფება.

2. ასლან აბაშიძეს ბევრჯერ უთქვამს, რომ აჭარა საქართველოს განუყოფელი ნაწილია, ამიტომ სენარატიზმში ვერ დავედბ ბრალს. ცენტრსა და აჭარას შორის არსებულ კონფლიქტში ბევრი რამ არის გასარკვევი. საჭიროა დიალოგი და არა კონფრონტი და კონფრონტაციული ტონი ცენტრალური ხელი-

სუფლების მხრიდან.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად შეწინავენ, რომ ცენტრს უპირისპირდება მხოლოდ ასლან აბაშიძე. ეს სინამდვილე არ შეეფერება. აჭარას ძლიერი ადმინისტრაციული რესურსი მოეპოვება. დე, ნურავინ მოტყუვდება და იტყვის, რომ საქმე აქვს ასლან აბაშიძესთან და კიდევ ერთ-ორ კაცთან.

**პასილ მაღლაზირიძე**, პარლამენტარი, *ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობა" - დემოკრატები"*:

1. დიახ, სმირბას ნაბიჯი იმას ნიშნავს, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლება მიგნდინარ ირღვევა. ეს პროცესი მალე გეომეტრიული

პროგრესით წავა.

2. ერთი მხრივ, ეს გარემოებაც გასათვალისწინებელია. მეორე მხრივ, სმირბა შეშინდა, თუ იგი არასწორ მოქცევას გააგრძელებს, ამისთვის მთელი სიმკაცრით მოეკითხება პასუხი.

**ირაკლი მაღაჰვილი**, "ტრადიციონალისტთა კავშირი"

1. შეიძლება, ამას ნიშნავს კიდევც. მე არ ვფლობ აჭარაში არსებულ სიტუაციას. ყოველ შემთხვევაში, სმირბასგან ასეთი ნაბიჯი გასაკვირი არ არის.

2. ეს ფაქტი უფრო პრაგმატული მოსაზრებით აიხსნება. მინდა ისიც გითხრათ, რომ სმირბა და ჩვენი აჭ-

არის" ბევრი ლიდერი, იგივე სახნიძე და ხიმშიაშვილი, ერთ დროს აბაშიძის სვან სულაც არ გამოირჩეოდნენ დიდი დემოკრატიულობით. 1992 წელს, როცა "ხსნის კომიტეტი" შეიქმნა, ისინი აჭარაში მიტინგებს არბევდნენ და რუსეთის დაკვეთას ასრულებდნენ. ერთი სიტყვით, ძნელია იმის დაჯერება, რომ ასლან სმირბას 50 წლის ასაკში თვალები აეხილა. სმირბა, უბრალოდ, მიხვდა, რომ ცენტრალური ხელისუფლება აჭარის რეგიონულ ხელისუფლებას "მოუკებს" და თავის გადარჩენას ცდილობს.

**თაბაზ დიასაშიძე**, *"ჩვენი აჭარის" ლიდერი*, *პარლამენტარი*:

1. სმირბას მაგალითი არის

ხელისუფლების სამზარეულოს და შესაძლებელია, გუშინდელი ნაბიჯი საკუთარი მომავლის უზრუნველსაყოფადაც გადადგა, მაგრამ ეს ნაბიჯი ყველა შემთხვევაში მისასლმე-ბელია, იგი ბევრს აუტელს თვალს.

ჩემი აზრით, თუ ხელისუფლება, პოლიტიკური განცხადების დონეზე, გამოაცხადებს იმ ადამიანების ამნისტიას, რომლებიც აბაშიძის რეჟიმმა უნებლიე დამნაშავეებად, ასლან აბაშიძის უნებლიე მომხრებად აქცია, აბაშიძეს ბევრი ეწ. თანამოაზრე დატოვებს. დღეს აჭარაში ადამიანები შეწყობილნი არიან შიშის სინდრომით, რომ მათ ცენტრალური ხელისუფლება იმ ხარისხით აეგნინებს პასუხს, როგორც ეს ასლან აბაშიძის მიმართ

# ბიუჯეტი - 2004

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                 |
|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>პირველი გვარდიან</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
| <b>ოპტიმიზმის წინაპირობებზე:</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |
| <b>წარმოების ზრდის ტემპი</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, წარმოების განვითარების მაჩვენებელთა საპროგნოზო გაანგარიშებების მიხედვით, 2004 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი 6 პროცენტის დონეზეა მოსალოდნელი და მისი ნომინალური მნიშვნელობა 9,4 მლრდ. ლარს გადაჭარბებს. მთლიანი შიდა პროდუქტის ასეთი დინამიკა უნდა უზრუნველყოს როგორც სამინაო, ასევე საგარეო ფაქტორებმა. სამინაო ფაქტორებში იგულისხმება ინფლაციის ზომიერი ტემპი, საინვესტიციო და სამენარმო გარემოს გაუმჯობესება, საფინანსო ბაზრის გააქტიურება. საგარეო ფაქტორებს კი განეკუთვნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ეკონომიკური ზრდის ტემპზე დადებითი ეფექტი უნდა იქონიოს ნავთობსადენისა და გაზსადენის მშენებლობამ და მისთვის საჭირო უცხოური ინვესტიციების ზრდამ. სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო უნდა გახდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წინაპირობა. |
| <b>საგარეო სავაჭრო ბალანსი</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
| საქართველოს მთავრობის პროგნოზით, 2004 წელს მოსალოდ-                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                             |

ნოზის თანახმად, 2004 წელს მოსალოდნელია როგორც მიმდინარე ანგარიშის, ასევე სავაჭრო ბალანსის გაუარესება. მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი სალოდო მოიმატებს და, სავარაუდოდ, მშპ-ს 9,3 პროცენტს გაუტოლდება. რაც შეეხება სავაჭრო ბალანსს, იგი მშპ-ს 14,6 პროცენტს არ გადაჭარბებს. სავაჭრო ბალანსის გაუარესების მთავარი მიზეზი იქნება ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობისთვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მატება და მასთან დაკავშირებული იმპორტის ზრდა, რაც არ შეიძლება უარყოფით მოვლენად ჩაითვალოს.

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                         |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                    |
| ნაერთი ბიუჯეტის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი (სოციალური დაზღვევის ფონდში საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან სოციალური გადასახადის გარეშე) მშპ-სთან მიმართებაში, რომელიც, 2003 წლის წინაწარი მონაცემებით, 14,3 პროცენტს შეადგენს, 2004 წლისათვის 16,3 პროცენტამდე გაიზრდება. ეს კი ნიშნავს, რომ ხელისუფლება, მიუხედავად შეზერებული საგადასახადო ლიბერალიზაციისა (როგორც ჩანს - ბიზნესის გათვრების იმედით) ბიუჯეტში მთლიანი შიდა პროდუქტის 2 პროცენტით მეტის მოზიბუნებას გეგმავს. ამ პროგნოზის შესაბამისად, 2004 წლის ნაერთი ბიუ- |

ჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მოცულობა 1 537,7 მლნ ლარს გაუტოლდება.

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                  |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები</b>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| საქართველოს 2004 წლის ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების სახით დაგეგმილია 753,5 მლნ ლარის მიღება. ხოლო არასაგადასახადო შემოსავლების სახით მომავალი წლის საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში დაგეგმილია 117,6 მლნ ლარის მიღება, საიდანაც 12,0 მლნ ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის მოგების ნაწილს წარმოადგენს. კაპიტალური შემოსავლების სახით დაგეგმილია 20,3 მლნ ლარის მიღება. რაც შეეხება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2004 წლის შემოსავლებსა და გრანტების ჯამურ პროგნოზს, რომელშიც გათვალისწინებულია საქართველოს (ცენტრალური ბიუჯეტისა და სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლების ჯამი, მან უნდა შეადგინოს 1 მილიარდ 421 მლნ ლარი. |

|                                                                                                                                                                        |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>გრანტები</b>                                                                                                                                                        |
| გრანტების სახით ბიუჯეტში მიღებულ უნდა იქნეს 160,7 მლნ ლარი, რაც მთლიანად წარმოადგენს საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლის წყაროს. ეს გრანტები დონორების მიხედვით |

ასეა გადანაწილებული: ევროგაერთიანების სასურსათო პროგრამის ფარგლებში გაემსიაოვი გრანტის მოცულობამ უნდა შეადგინოს 32,6 მლნ ლარი. ამ გრანტის მეშვეობით ფინანსურად "გამაგრდება" როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ხაზით განსახორციელებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობის პროგრამები, ასევე ის პროგრამები და ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებასთან, ბავშვთა, იბოლ და ინვალიდ ბავშვთა სახლებისა და სკოლინტერნატების შენახვასთან. 31,3 მლნ ლარის ოდენობით იქნება გათვალისწინებული ევროგაერთიანების სპეციალური ფინანსური დახმარების გრანტი. 52,6 მლნ ლარის ოდენობით იქნება გათვალისწინებული უცხოური დონორების მიერ მიზნობრივი კრედიტების მეშვეობით დაფინანსებული ინვესტიციური პროექტების თანმდევი ფულადი გრანტები. 44,2 მლნ. ლარის ოდენობის სხვა გრანტი მიმართული იქნება მოსახლეობის სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის.

|                                                 |
|-------------------------------------------------|
| <b>ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები</b> |
| 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის                   |

# საქართველოში ტელეკომუნიკაციის პირველი საქართველოს გამოფენა იხსნება

|                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                   |
პოლიტიკურ სეგმენტებში იგულისხ-მება ორი ძირითადი ჯგუფი - სეცესიის მომხრეები და მისი მონიხაღმდეგეები ეთნიკურ სეგმენტში მკაფიოდ ჩანს, რომ, სხვებისაგან განსხვავებით, აფხა-ზეთის საზოგადოებაში პოლიეტიკურია.

ეთნიკურისა და პოლიეთნიკური დაპირისპირებულობის საზღვრები ერ-თმანეთს ერ გზთხვევა.

საჭიროა დავამატოთ, რომ აუცილე-ბელია მოხდეს შერეული ოჯახების ფაქ-ტორის გათვალისწინება, პრიცენტული აღრცეხიანობა. ამ პარამეტრით ყარა-ბად ჩამორჩება აფხაზეთისაც და სამხრ-ეთ ოსეთსაც. იგივე ითქმის ლინგვისტ-ურ და რელიგიურ კომპონენტებზეც. მხედველობაში გვაქვს ძირითადი ღონე-ვისტური ჯგუფები, თუმცა ყველა ამ რე-გიონს არსებობს რუსულენოვანი მოქი-ნისი, რომელიც სოციალურ ჯგუფებს შო-რის სოციალური დისტანციის პირობით ზრდას აღნიშნავს.

სქემა გვიჩვენებს, რომ მთიანი ყარა-ბალის საზოგადოებრიობას დაპირისპი-რებულობის დონე მნიშვნელოვნად მა-ღალია აფხაზეთთან შედარებით და დი-ქტობური ხასიათის მატარებელია.

ზემოთ აღნიშნული მიგანიშნებს, რამდენად მნიშვნელოვანია წინააღმდე-გობის დარეგულირების გააქტიურება დანაწერებულ საზოგადოების ყველა ნაწილში და დონეზე.

### მეორე სართული

(**კონფლიქტი " ცენტრი - საზოილი ავტონომიები"**)

მეორე სართულზე კონფლიქტის სა-მი ძირითადი პოლიტიკური სუბიექტია წარმოდგენილი. თბილისის (ცენტრი), აფხაზეთის სეცესიონისტური და ინტეგ-რაციონისტული პოლიტიკური ელიტა. ამასთან, კონფლიქტში მონაწილეონენ სხვა ყოფილი საბჭოთა ავტონომიების პოლიტიკური ელიტებიც - აჭარის და სა-მხრეთ ოსეთის.

ცენტრი უნდა ეცადოს თავი დააღწი-ოს "პირველი სამართლის" კონფლიქტურ სიბრტყეს და "მეორე სართულზე" გადა-ინაცვლოს, რაც ნიშნავს ავტონომიის სა-შინაო საქმეების მინიმალურ ჩარევას, მაქსიმალური ნიჭიერაღიქმებისკენ სწრაფება და გახლებილი საზოგადოებ-ის ორივე ნაწილის ინტერესების გათვა-ლისწინებას. თბილისის მისია უნდა შეი-ცვალოს და მიმართული იყოს, სტრატე-გიულ მომავალში მედიატორის სტატუსი დაიკავოს. მიუხედავად იმისა, რომ კონ-ფლიქტის მოცემულ ეტაპზე ამის მიღენ-ვა უაღრესად რთულია, სწრაფვა ამისკენ უნდა ჩადოს დარეგულირების დოქტე-რინის საფუძვლებში და გახდეს კონფ-ლიქტის დეტსკალაციის და ლოკალიზ-აციის პროცესის დაწყების და არა მისი შემდგომი ინტერნაციონალიზაციის მთავარი ფაქტორი. ცენტრი უნდა ისწ-რაფოდეს, აფხაზეთის ხალხების უსაფ-რთხოების ერთ-ერთი მთითადი გარან-ტი გახდეს.

ამ სართულზე, უპირველესად, აუცე-ლებელია მოლაპარაკებათა ახალი პროცესი ცენტრსა და ინტეგრაციონი-სტების შორის. თბილისის ცენტრსა და სეცესიონისტებს შორის მოლაპარაკებ-ის უზრუნველყოფის არსებული ფორმა-ტები აუცილებელია, მაგრამ არასაკმა-რისა საიმისოდ, რომ მიღწეულ იქნეს კონფლიქტის დარეგულირების ეფექ-ტური შედეგები და უზრუნველყოს პრო-ცესის შემდგომი განვითარება.

ინტეგრაციონალისტები, რომლებიც ასევე მოცემული კონფლიქტის ძირითად მსხვერპლად გვევლინებიან, ადნაწეუ-ლებიც თბილისის ცენტრისა და სეცესი-ონისტების პოლიტიკას. ამავ დროს სა-სარგებლო იქნებოდა, მათ ლიდერებსაც ყველაფერი გაეკეთებინათ მოლაპარ-აკებათა არსებული ფორმტების გასამე-კობლად თბილისის ცენტრსა და სეცე-

სიონისტებს შორის. ინტეგრაციონალის-ტების შეუძლიათ და კიდევ უნდა გახდნენ უსაფრთხოების გარანტები. უნდა შევნი-შნოთ, რომ სეცესიონისტები სწორედ მა-თში ხედავდნენ ერთ-ერთ მთავარ საფრ-თხეს ახლი წარსულში. ინტეგრაციონის-ტების სამშვიდობო მისია მოლაპარაკე-ბის პროცესის შესაწმენდი წარმატების წი-ნაპირობად შეიძლება იქცეს. განსაკუთ-რებით, თუ მას მხარს დაუჭერენ რელი-გიური მოღვაწენი და საერთაშორისო ორგანიზაციები.

სეცესიონისტებმაც კონსტრუქციუ-ლი მოქმედებითა და ოპონენტებთან მო-ლაპარაკებებში მონაწილეობის გააქტი-ურებით უნდა უპასუხონ ამ ცვლილებ-ებში.

ამის წინაპირობად უნდა იქცეს მო-ლაპარაკებები ინტეგრაციონისტებს ში-ქითი დეტლგატების ჯგუფების ჩამოსა-ყალიბებლად, რომლებიც რეგრეზენტა-ციულად წარმოადგენენ მიიღს მათ პო-ლიტიკურ სპექტრს და ლეგიტიმურობის სათანადო დონე ექნებათ. ასეთივე წინა-სწარი აქტივობა უნდა ჩატარდეს სეცე-სიონისტებს შორისაც; აქაც უნდა შეიქმ-ნას დეტგებათა ჯგუფი, რომელიც სა-კუთარ პოლიტიკურ სპექტრს წარმოად-გენს. ერთობლიოააში, ამ ორ ჯგუფს ექ-ნება ლეგიტიმურობის საკმარისი დონე, რომ მოლაპარაკებათა მთელი პროცესი შედარებით ლეგიტიმური გახდეს.

დარეგულირების ამგვარი პოლიტი-კის რელიზაციის ძირითად პირობას წა-რმოადგენს ცვლილებები თავად ცენტრ-ში. ცენტრმა უნდა წარმოაჩინოს პოლი-ტიკური ნება და უნარი, ცვლილებები შე-იტანოს მოლაპარაკებათა პროცესში.

აჭარასა და სამხრეთ ოსეთში არსე-ბული მდინაწაღმდეგობები მოცემულ ეტაპზე არ იძლევიან საშუალებას, გან-ვითლოთ ისინი, როგორც საზარაოდ ფასილტაბორები, თუმცა ყოფილი ავ-ტონომიების გახლებილი ელიტების წარ-მომადგენლებს შეუძლიათ და კიდევ უნ-და იღებდნენ მონაწილეობას სხვა გან-ზომილების მოლაპარაკებათა ფორმატ-ში, განვითარებისა და თანამშრომლობის საერთო სტრატეგიის განსაზღვრის პი-რობებში. ეს მომავლის საკითხია.

### მესამე სართული

(**რეგიონალური კონფლიქტი (კავ-კასიური სამხრეთ კავკასიის და ჩრდი-ლო კავკასიის მიმართულებები)**)

მესამე სართულის კონფლიქტი რე-გიონალურ ხასიათს იღებს, რადგან მას-ში ჩართულია აღმზრანდენ სუბიექტები მთელი კავკასიიდან. თბილისის (ცენტრი-სა და სეცესიის) მონიხაღმდეგეთა (აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილ) ინ-ტერესების გათიგევაამ გამოიწვია სეცე-სიონისტთა მიერ ჩრდილო კავკასიური ავტონომიებასა და რუსეთის სამხრეთის რეგიონებში მომხრეთა ძიების პროცესი, ამასთან, ხელმ შეუწყო ორედენტისტული და სეპარატიზტული მიმდინარეობები და შესაბამისი პოლიტიკური კონცეფცი-ების განვითარებას (ჩრდილოეთის მიმა-რულება). ამვე სართულზე წარმოებ-პარტიკონების ძიება სამხრეთ კავკასია-ში და შეთანხმებებზე ხელმოწერა ურთი-ერთალიარებისა და სამხედრო - პოლი-ტიკური თანამშრომლობის შესახებ მთი-ანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის სე-პარატისტების (სამხრეთის მიმართუ-ლება), როგორც ხედავთ, სამხრეთ ოსე-თი ამ სართულზეცაა წარმოდგენილი.

### მეოთხე სართული

(**მაკორეგიონული კონფლიქტი (საქართველო-რუსეთი-სომხეთა-ზე-რბაჯანი-თურქეთი-ირანი-უკრაინა)**)

ამ ქვეყნებს მოცემულ კონფლიქტში სტრატეგიული ინტერესები გააჩნიათ, რაც განაპირობებს კიდევ მათ პირდაპ-ირ თუ არაპირდაპირ ფორმალურ თუ არაფორმალურ ჩარევას. განსაკუთრებ-ით ეს მეზობელ ქვეყნებს ეხებათ. ამ სა-რთულზე დაძაბულობის შემცირების ძი-რითად პირობად გვესახება ამ ქვეყნე-ბის ინტერესების ლეგალიზება და ისეთი გა-დანეყვლებების ძიება, რომლებიც მა-ქსიმალურად დააამყოფილებენ კონფ-ლიქტში მონაწილე მხარეებს და არ შექმ-ნიან წინაპირობას სამოქალაქო დაპირი-სპირების გამძაფრებისათვის აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში. არასაკუ-რველია ამ ქვეყნების ჩართვა დაარეგუ-ლირების პროცესში, მედიატორის სტა-ტუსში (მედიატორი შეიძლება იყოს მთ-ლედ ქვეყანა, რომლის ინტერესები მაქ-სიმალურად მოსწაა მოცემული კონფ-ლიქტისათვის). ამასთან ერთად, სტრატე-გიული დარეგულირების აუცილებლად ამოცანას წარმოადგენს მათ შორის კონ-სტრუქციულ თანამშრომლობაზე ორიე-ნტაცია და მათი სტრატეგიული ინტერე-სების გამოკლების პირობების შექმნა.

თითოეული ეს ქვეყანა, რომელსაც აფხაზეთის კონფლიქტში საკუთარი ინ-ტერესები გააჩნია, ხელს უნდა უწყობდეს მის მშვიდობიან დარეგულირებას. თითოეულმა მათგანმა უნდა განსაზღე-როს ამ პროცესში მონაწილეობის საკუ-თარი ფორმა. ამასთან, როგორც ზემოთ უკვე შევნიშნეთ, მონაწილეობის ფორმის შერჩევა მართლაც უნდა უწყობდეს ხელს კონფლიქტის დარეგულირებას და არა მის ინტერნაციონალიზაციას, რაც ესაბამისი ტოლფარია.

ამ ქვეყნების რესურსები არ იყო სრულად გამოყენებული, რაც არასწო-რად მიგვაჩნია.

### მეხუთე სართული

(**საერთაშორისო კონფლიქტი (მრავალ სუბიექტის მონ**



ოთარ ჭილაძე.



ბესიკ ხარაშვილი.



ლაშა ბელაძე.



თეიმურაზ დოიაშვილი.



ზეზა მედუღაშვილი.



გიორგი კოცანაშვილი.



ბიანა ბრეგვაძე.



თამარ უბაიძე.

# პორეუდი და ახლოებული „საბა“





| თეატრები                                                                                                                                                                                                       |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი</b> <span></span> <div>ადოლფ შარლ ადანი</div> <div>"ჟიზელი"</div> <div>დირიჟორი: რევაზ ტაკიძე</div> <div>დას: 18:00 სთ.</div> |
| <div><b>თეატრალური სარდაფი</b></div> <div>მაიკლ ფრეინი</div> <div>"ხმაური სცენის მიღმა"</div> <div>რეჟისორი: ოთარ ევაძე</div> <div>დას: 20.00 სთ.</div>                                                        |
| <div><b>თეატრალური სარდაფი ვაკეში</b></div> <div>აექსენტი ცაგარელი</div> <div>"ხანუმა"</div> <div>რეჟისორი: ლევან წულაძე</div> <div>დას: 19:00 სთ.</div>                                                       |
|                                                                                                                                                                                                                |
| კინოთეატრები                                                                                                                                                                                                   |
| <div><b>რუსთაველი</b></div> <div>"ქრისტეს ვნებანი"</div> <div>დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.</div>                                                                                                 |
| <div><b>ამირანი</b></div> <div>"მონსტრი"</div> <div>დას: 15:00; 17:30 სთ.</div>                                                                                                                                |
| <div>"მომხიბლავი პოლი"</div> <div>დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.</div>                                                                                                                                           |
| გამოწვნა                                                                                                                                                                                                       |
| <div><b>თბილისის გოეთეს ინსტიტუტი</b></div> <div>გერმანელი ფოტოხელოვანის ახიმ რიხერსისა და სტუდენტების ნამუშევრების ერთობლივი გამოწვნა</div>                                                                   |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი</b></div> <div>სტუდენტ მხატვართა გამოწვნა</div>                                                                                                                         |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>სალონი "ხელოვნება"</b></div> <div>XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა ნამუშევრების გამოწვნა-გაყიდვა</div>                                                                                   |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>"კოპალა"</b></div> <div>გიორგი ხუციშვილის ნამუშევრების გამოწვნა</div>                                                                                                                                  |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>"ქარვასლა"</b></div> <div>ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური გამოწვნა" ევოლუცია"</div>                                                                                                         |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>"შობი"</b></div> <div>ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოწვნა</div>                                                                                                                                |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div><b>კოსტავას N10</b></div> <div>გოგა ჩანადირის მეოთხე გამოწვნა "სხვანაირი შუქები"</div>                                                                                                                    |
|                                                                                                                                                                                                                |
| <div>დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: <a href="mailto:cityline@24hours.ge">cityline@24hours.ge</a></div>                                                  |

## წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

**ხუთშაბათს, 29 აპრილს, 17 საათზე** ზაალ სამადაშვილის ციკლი "ახალი განზომილება", აკაკი ბაქრაძის 8 ტომულის პირველი ტომის (ბიოგრაფიული რომანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე) პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

# იტალიურად დანახული „ვეფხისტყაოსანი“

ენერ ჟორჟაძე

წმიდა საყდრის სადესპანო საქართველოში ატარებს ღონისძიებათა ციკლს, რომელიც ეძღვნება რომის პაპს იოანე პავლე მეორეს, მისი აღსაყდრების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით.

დღევანდელი საღამო კი დიუმ-ას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის მიერ ორგანიზებულ ლექციას წარმოადგენდა, რომელსაც იტალიელი მსახიობი, რეჟისორი და დრამატურგი რობერტო კავოზი ატარებდა. იგი თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი იტალიელი დრამატურგია, რომლის პიესა ამჟამად პარიზის თეატრში იდგმება.

შოთა რუსთაველი და მისი "ვეფხისტყაოსანი" - ორიგინალური, კავოზისეული ინტერპრეტაციებით - ასეთი იყო ლექციის თემა.

"ეს ნაწარმოები ავტორს ღმერთმა ჩააგონა. მის საოცარ გამოსახველობით ძალას სხვაგვარად ვერ ავხსნით," - ამ სიტყვებით დაიწყო კავოზიმ ლექცია, რომელიც თითქოს ფილოსოფიის და ხელოვნების ნაზავს წარმოადგენდა. "ცხოვრებაშიც და ხელოვნებაშიც ვაწყდებით გაყინულ წერტილს, როცა ადამიანური ურთიერთობები ჩიხში შედის და არავინ იცის, რა არის ამის იქით. რუსთაველმა კი იცოდა, - ამბობს რობერტო კავოზი, - შოთამ იცის გზა მზისაკენ". რობერტო "ვეფხისტყაოსანს" "შზით აყვავებულ ბალს" უწოდებს".

# მხატვარი, რომელის ფუნჯით აზროვნებდა

თაონა ჭაფარიძე

წლების შემდეგ, როცა საგამოფენო დარბაზში გოგი ხუციშვილის ნამუშევრები გამოიფინა, ისეთი გრძნობა დამრჩა, თითქოს, ეს უამრავი კომპოზიცია ერთი მთლიანი, მაგრამ დაუსრულებელი ტილოა. მხატვარი 1993 წლის 16 აპრილს გარდაიცვალა და თერთმეტი წლის შემდეგ, სწორედ აპრილის თვეში მის პერსონალურ გამოფენას გაუღრეა "კოპალამ" უმას-პინძლა. მისი ბოლო ნამუშევრები 1992 წლით თარიღდება. ეს აბსტრაქტული პეიზაჟებია. ექსპოზიციის მთლიანობას მხოლოდ მისი ერთ-ერთი ადრეული პერიოდის ტილო "ქალ-ბატონი მ-ს პორტრეტი" არღვევს თამამი კუბისტური მონასმებით.

ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ მისი ნამუშევრები "ძალზედ გამორჩეული იყო საიმისოდ, რომ საბჭოთა ხელოვნების რიგში ჩამდგარიყო. ალბათ, სწორედ ამიტომ, საქართველოში მისი პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა მხოლოდ 1980 წელს მოხერხდა ხელოვნების მუზეუმში, მას შემდეგ, რაც მისი ტილოები საფრანგეთში გამოიფინა (პარიზში მისი პერსონალური გამოფენა 1975 წელს გაუღრეა Cies-ში შედგა). გუშინდელ გამოფენაზე ხელში ჩამივარდა მხატვრის მიერ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ხელოვნებაზე დაწერილი ძალზედ საინტერესო ესეი, რომელმაც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ მხატვრის მიერ, თითქოსდა, ინტუიციურად შექმნილი ცეცხლოვანი და ენერგიული აბსტრაქტული კომპოზიციები დამთვლიერებელთან არასოდეს ტყუიან. "როგორ შევაძლონთ კუბისტურ ან აბსტრაქტულ ნამუშევრებში ჭეშმარიტების ოდენობა?" - სვამს კითხვას მხატვარი და ნამუშევრისა და მასურებლის გართულებულ ურთიერთობებზე წერს; იხსენებს ამ "გართულებული ურთიერთობების" ისტორიასაც. ეს,



ექსპოზიცია მრავალფეროვანი იყო.

გოგი ხუციშვილის აზრით, სეზანიდან მოდის, რომელიც ხილული სამყაროს ინტერპრეტატორად იყო აღიარებული, მაგრამ თავის შემოქმედებაში თავშეკავებულად მაინც დაუშვა სუბიექტური მომენტები. პიკასომ და კანდინსკიმ კი ეს სუბიექტივში გააძლიერეს და რეალობა მხატვრის წარმოსახვითი სამყაროთი შეცვალეს.

ხელოვნებათმცოდნეები მის მხატვრულ ხელწერას განათლების თავისებურებითაც ხსნიან: ის თავდაპირ-

ველად ქანდაკება ეზიარა, ხოლო შემდეგ - ფერწერას; ხელოვნების ისტორია ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეისწავლა და შემდეგ სორობნასა და პარიზის კაზმულ ხელოვნებათა სკოლაში. და თუ მის ხელწერაზე გვსურს ლაპარაკი, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მან დაიცვა ნამრბში შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობაზე. არქაული ხელოვნება და მღვიმის მხატვრობაც მისი ინტერესის სფერო იყო. გოგი ხუ-

ციშვილის ნამუშევრებში სწორედ არქაული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სიმარტივე და ჭარბი სუბიექტივზშია შერწყმული და ამიტომაცაა ეს, ერთი შეხედვით, "გაუგებარი" აბსტრაქციონიზმი დამთვლიერებლისათვის საინტერესო და მისაღები. "კოპალაში" კიდევ ერთხელ გამოიფინა მისი ტილოები: "სიყვარული აპრილში"; "მზის ჩასვლა"; "მთელი ცხოვრება, როგორც ერთი დღე". გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ.

# „ცხოვრება ფერადია, რა“!

ახალგაზრდა ფოტოგრაფის ფერადი მუზეუმი

ვირა ნაფარიძე

*რაზე შეიძლება იოცნების ახალგაზრდა ფოტოგრაფმა? – ალბათ, ძალიან ბევრ რამეზე. მაგრამ, თუკი ეს ფოტოგრაფი თბილისში ცხოვრობს, ხოლო მისი სახელი და გვარი გოგა ჩანადირია, ერთ-ერთი მისი ოცნება ისიც შეიძლება იყოს, რომ თბილისში შევებში აღარ დადიოდნენ. გოგა ჩანადირმა საკუთარი, რიგით მეოთხე გამოწვნა სწორედ შუქებსა და თანამოქალაქებს მიუძღვნა.*

გუშინდელ ღონისძიებას, ჯოლს, აქცია ვუწოდით, ვიდრე - გამოფენა. ასე უფრო გავამართლებთ სიტუაციას, რომელიც საღამოს ექვსი საათიდან მერბდ კოსტავას 10 ნომერში სუფევდა. საგამოფენო ცხოვრებისთვის სრულიად ახალი სივრცე (იმის მიუხედავად, რომ მისი მეგატრონე საკმაოდ კარგი, ახალგაზრდა ფოტოხელოვანი ვახო კუნცევა-გაბაშვილიც არის, მანამდე ამ დარბაზში ნამყოფი არ ვიყავი) საკმაოდ მცირე აღმოჩნდა გოგა ჩანადირის გულშემატკივრებისთვის. მათი უმრავლესობა კი სტუდენტობისა და თანამშრომლობის მიხედვით, რომ მისი მეგატრონე საკმაოდ კარგი, ახალგაზრდა ფოტოხელოვანი ვახო კუნცევა-გაბაშვილიც არის, მანამდე ამ დარბაზში ნამყოფი არ ვიყავი) საკმაოდ მცირე აღმოჩნდა გოგა ჩანადირის გულშემატკივრებისთვის. მათი უმრავლესობა კი სტუდენტობისა და თანამშრომლობის მიხედვით, რომ მისი მეგატრონე საკმაოდ კარგი, ახალგაზრდა ფოტოხელოვანი ვახო კუნცევა-გაბაშვილიც არის, მანამდე ამ დარბაზში ნამყოფი არ ვიყავი)

“ამ გამოფენისთვის განსაკუთრებული დატვირთვა არ მიმიცია. უბრალოდ, მსურდა, ერთი დღით მაინც, ადამიანებს უარი ეთქვათ შავ სამოსელზე (არ ივლისსმებიან მგლოვიან-



გოგა ჩანადირი ფერად თბილისს ხედავს.

რენი) და "სხვანაირი შუქები" ისე ენახათ. საქართველოში, სამშუხაროდ, ყველგან არ ანთია შუქი. მინდოდა, მეჩვენებინა, რომ რაც მონოტონურად ანათებს, მის მიღმაც შეიძლება რაღაც საინტერესო იყოს. არ ვიცო, რამდენად გაეაქეთ ეს. მეორე მიზანი ის იყო, რომ შავი ფერები არ ჩაეცვა ხალხს. ცხოვრება ფერადია, რა!" - ამბობს გოგა ჩანადირი. ახალგაზრდა ფოტოგრაფმა "თავის დასაზღვევად" - "ფერადი საღამოს" გასტარებლად სტუმრები წინასწარ გააფრთხილა და მოსაწვევებს ნაუძმდვარა: "გთხოვთ,

არ მოხვიდეთ შავი ტანსაცმლით". ამ მხრივ, გამონაკლისი ცოტა იყო და, ძირითადად, ჩაცმულობის გამო, რატომაც, თავს იმართლებდნენ გამოფენის ატმოსის, ნაცნობ-მეგობრებისა და ჟურნალისტების წინაშე. გამოფენას, რომელიც 25 ფოტო ნამუშევარს აერთიანებს, ავტორმა "სხვანაირი შუქები" დაარქვა. მათზე აღბეჭდილია თბილისში საერთო-სახლიო ახალი წლის ღამეს გადაღებული, სუფის ტერმინალზე, ბათუმში, "აჭარა მიუზიკ ჰოლში", პროექტორებიდან გამოძავალი და სხვა ნა-

# ვორკშოპები მომავალი ქართული კინოს მომავალი ფოტოგრაფებისათვის

თაონა ჭაფარიძე

გოეთეს ინსტიტუტი თვალშისაცემი სიხშირით იპყრობს საზოგადოების ყურადღებას თავისი აქტუალური, ნოვატორული, საგანმანათლებლო პროექტებით. ცოტა ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც, ინსტიტუტის მოწვევით, საკმაოდ საინტერესო ვორკშოპები გამართეს გერმანელმა და ქართველმა მედიის სპეციალისტებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა და სოციოლოგებმა საინტერესო თემაზე: "ნაციონალური სახეები გლობალიზებულ სამყაროში", რომელიც ცალკე საუბრის თემაა. გუშინ კი აქ გერმანელი ფოტოხელოვანისა და თეორეტიკოსის ახიმ რიხერსის ლექციების კურსი ფოტოგამოფენით დასრულდა.

ბატონმა ახიმმა ლექციები გერმანული ფოტოგრაფიის კლასიკოსების - აუგუსტ ზანდერის, კარლ ბლოსფელდისა და ალბერტ რენგერ-ბრაჰტის კონცეფციების გაცნობით დაიწყო. მომდევნო დღეებში მან ფოტოგრაფიის დიუსელდორფის სკოლაზე ისაუბრა, რასაც 60-იან 90-იან წლებში გერმანულ ფოტოში პორტრეტის, არქიტექტურისა და პეიზაჟის თავისებურებებზე ლექცია მოჰყვა. მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მეტად აქტუალურ-



ახიმ რიხერსი.

მა თემაზე თანამედროვე ფოტოგრაფიაში "ფემინი და საზოგადოება", ლექციები გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა თანმიმდევრული თარგმანითა და მას სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და, უბრალოდ, ფოტომწვევარულები ესწრებოდნენ.

ლექციების შემდეგ სემინარმა სამხატვრო აკადემიის კინოტელე-

ვაკულტეტზე გადინაცვლა. მომავალმა ტელევიზიისა და კინოს მხატვრებმა პრაქტიკული რჩევები მიიღეს, თუ როგორ უნდა შეიქმნას საკუთარი ფოტოარქივი და რა უნდა შესთავაზოს პროფესიონალმა კინოფოტოგრაფმა რეჟისორებს, ოპერატორებსა თუ მონაწილეებს ფილმზე მუშაობისას.

თელ წერტილებში გადაღებული შუქები. გოგა ჩანადირი "სხვანაირი შუქების" გადაღების იდეა, კარგა ხანია, ჰქონდა. თუმცა, ეს გამოფენა მაინც სპონსანურად დიაცეგმა. უბრალოდ, ახალგაზრდა ფოტოგრაფმა მიიღო კოლეგის, ვახო კუნცევა-გაბაშვილის შეთავაზება - მის დარბაზში გამოეფინა საკუთარი ნამუშევრები; რადგანაც არსებული სივრცისთვის არც ერთი ფოტოსერია არ გამოდგებოდა, გადწყვიტა "სხვანაირი შუქების" შეგროვება. ამგვარად, ავტორმა აისრულა დიდი ხნის სურვილიც და გაცილებით ფართო საზოგადოებას მიანდინა ხმა. აი, ხანდახან ასეც შეიძლება სერიოზული პროფესია არც ისე სერიოზული მიზნებისთვის გამოიყენო. ნამდვილად ვერ გეტყვით, დარბაზში მისულთაგან პროცენტულად მაინც რამდენმა მოახერხა გამოფენის დათვლიერება (სტუმართა სიმრავლისა და სივრცის სიმცირის გამო). და რადგანაც ეს ნაკლებად შესაძლებელი იყო, დამთვლიერებებს ისღა დარჩენოდათ, ადგილები დაეკავებინათ და მომზადებულყვნენ ბერტოლუჩის უკანასკნელი ფილმის სანახავად. როგორც აღმოჩნდა, დარბაზის მესვეურებს ტრადიცია ჰქონიათ - სხვადასხვა ღონისძიების დასასრულს რაიმე ფილმი უჩვენონ სტუმრებს. "მეოცნებენი" კი თავად გოგა ჩანადირმა შეარჩია და საკუთარი არჩევანი ასე გაამართლა: "ჩემი სურვილი, ოცნებაა, რომ საქართველოში, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ნათელ ფერებს იცეამდნენ".

#### ჟიური

**შადიმან შამანაძე** ჟიურის მუშაობა საკმაოდ ობიექტუ-რი და შირომატევადი იყო. ჩემდა გასაკუი-რად, ქართული მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი მიკერძოების გარეშე. მით უმეტეს, როდესაც ძალზე ღირსეულ ნომინანტებთან გვექონდა საქმე, ეს ფაქ-ტორი, გარკვეულწილად, სუბიექტურს და საჭოჭმანოსაც შეიცავდა და დასკვნის გამოტანა განსაკუთრებით ძნელდებოდა ზოგიერთ ნომინაციაში. მაგრამ, მაინც ვფიქრობ, გადანყევტილება არ არის ისე-თი, რომ ვინმემ ძალიან დაგვირახოს. რა თქმა უნდა, უკმაყოფილოებიც იქნებიან და ეს არც არის გასაკვირი იმიტომ, რომ ყველა პრემიას თან სდევს აზრთა სხვადა-სხვაობა. შეიძლება ზოგს მოეჩვენოს, რომ სხვა მეტად იმსახურებდა, მაგრამ ჟიურ-ის ამ შემადგენლობამ განსაზღვრა ასე. ყოველ შემთხვევისთვის, ობიექტური და კონსპირაციული ნამდვილად იყო.

##### ლევან ბრეგაძე

ჟიურის მუშაობა თითქმის ყველა ნო-მინაციაში დაძაბულად წარიმართა. ძა-ლიან ძნელი იყო არჩევანის გაკეთება იმი-ტომ, რომ კარგი ნიგნები გამოვიდა შარშ-ან და იძულებული ვიყავით გაგვეკეთები-ნა ეს არჩევანი. რა თქმა უნდა, იქნებიან გულდანყვეტილი ავტორები, ამის გარეშე არც არის კონკურსი, ასეთი ლიტერატუ-

რული შეჯიბრი საინტერესო. მე მაინც მი-ნდა ვთქვა, მათთვის ვინც წერს და ვერ მიიღო ეს პრემია - არ მინდა, რომ ჟიურის გაუნწყენდნენ, მათ ძალიან კარგი ნიგნე-ბი დანერგეს, კიდევ ვიმეორებ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა უკეთესთა შორის საუკეთეს-ოს ამორჩევა და მაინც მოხდა ეს არჩევა-ნი და ვფიქრობ, ცუდი არჩევანი არ გაგვი-კეთებია. არ მგონია, რომ საზოგადოება "საბას" ლაურეატებით უკმაყოფილო და-რჩეს. ჟიურიში მუშაობისას კიდევ უფრო დაეფასე ჩემი შარშანდელი პრემია, რო-მელიც ძალიან გამიხარდა და წელს მეც გავეზარე ვილაც-ვილაცები.

##### ლამა ბაქრაძე

ჟიურის მუშაობა, როგორც ყველა ნებისმიერი ჟიურისა, არის ის, რომ ამო-სარჩევი პროდუქციის გარკვეულ წრეში უნდა აირჩიონ ერთი, რაც ყოველთვის ძალიან ძნელია იმიტომ, რომ ჟიურის ნე-ვრები თუნდაც თაობების მიხედვით, თა-ვიანით გემოვნების მიხედვით განსხვაე-დებოდნენ და რასაკვირველია, მეტ-ნაკ-ლებად განსხვავებული აზრი გვექონდა იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ უნდა გა-მხდარიყო საბოლოო ჯამში გამარჯვე-ბული. ამის გამო იყო საკამად რთული და გრძელი დისკუსიაც საჭირო. მაგრამ, სა-ბოლოოდ თითქმის არც ერთი ნომინაცია არაა, რომელსაც ყველამ მისცა ხმა. მე

ძალიან კარგად მესმის, რომ კრიტიკაც ყოველთვის ბევრი იქნება, ბერს არ მოე-წონება, იტყვიან რომ არსებობს სხვა კი-დეც უკეთესი. როდესაც არჩევანთან გვაქვს საქმე, ეს ყოველთვის ასე ხდება. თავისთავად ცხადია, რომ ყველას გემო-ვნების შესაბამისი ვერ იქნება ვერანაირი ჟიურის არჩევანი, მე ეს თავიდანვე კარგ-ად ვიცოდი. ვიცოდი, რომ ახლაც იქნება კრიტიკა, მაგრამ მაშინ ჟიურის წევრი არ უნდა გახდეს ადამიანი, თუ ემინია ამ კრიტიკის. ორი ნომინაციის გამოკლებ-ით, ჟიურის არჩევანში ერთმონეანება არ ყოფილა.

##### ნოდარ გურაბანიძე

უნდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, მრავალი ჟიურ-ის მუშაობაში მიმიღია მონაწილეობა. ეს ჟიური გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სულისკეთებით, მეგობრული განწყო-ბილებით და უაღრესად მაღალი პრინ-ციპალობით. ყველა ნომინანტზე მსჯე-ლობა იყო განსაკუთრებული, არავინ არ გამოგვიტოვებია. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისევე როგორც მე, ჟიურის ყველა წევრმა, ყველა წანარმოები წაეი-კითხეთ, სხვაგვარად შეუძლებელია, ეს იქნებოდა უპატივცემულობა ავტორის, ზოგადად მწერლობისა და საკუთარი

თავისადმი. ასე რომ, ოთხი თვის განმე-ვლობაში ვკითხულობდით ამ წანარმოებ-ებს. გაგვიჭირდა ბევრი რამის გადაწყე-ვება, იმიტომ რომ, თანაბარმნიშვნელო-ვანი იყო ზოგიერთი წანარმოები. მაგრ-ამ კონკურსი იმის კონკურსია, რომ სა-ბოლოოდ გამარჯვებული უნდა გამოავ-ლინო. ვფიქრობ, რომ ჟიურიმ ობიექტუ-რად იმუშავა და გადანყევტილება საე-სებით სამართლიანია. წარმიოდგინეთ, რომ პრემიები მიენიჭა მწერლებს, რომ-ლებიც მაინცდამაინც არ იყვნენ გამო-სული ლიტერატურულ ასპარეზზე, არ ჰქონდათ განსაკუთრებული პრესა, არ ჰქონდათ საზოგადოების მხარდაჭერა, იმიტომ რომ, საკუთარივე სურვილით ჩრდილში დგანან და ჩვენმა ჟიურიმ, მე მგონი, საესგებით ობიექტურად და საე-სებით სამართლიანად მიანიჭა მათ ესო-დენ მაღალი პრემია.

##### ანდრო ბუაჩიძე

ჟიური საკმაოდ ენერგიულად და ეფე-ქტურად მუშაობდა. მათთან მუშაობისას დიდი სულიერი სიამოვნება მივიღე. იყო განსხვავებულ ადამიანთა ერთობა, ყვე-ლას თავისი აზრი ჰქონდა, მაგრამ საბო-ლოო შეთანხმებამდე მივიდით. არჩევანი კეთდებოდა მაღალმხატვრულ ღირებუ-ლებაზე. ვთვლი, რომ ჯილდო ღირსეუ-ლებმა მიიღეს. მიზანი, რომელიც ლიტე-



„საბა“ იხსენება.



ჭილდოები ლაურეატებს ელიან.



ლაურეატი და ჟიურის წევრი (ხელაძე და სამადაშვილი).

# პორეაუელი და ახლოგაელი „საბა“

#### გამოვლინდნენ ლიტერატურული პრემიის ლაურეატები

### ნანა კობახიძე

ლიტერატურული პრემია "საბა" ერ-თი წლისაა. გუშინ მეორედ გამოვლინდ-ენ გასული წლის საუკეთესო ქართველი ავტორები. მართალია, ამისათვის ლიტე-რატურის მოყვარულებს უამინდობის გა-მო დაძაბებით ოთხ დღეს მოუწიათ ლო-დინი, მაგრამ ორგანიზატორებმა არ ისუ-რვეს დაერღვიათ ტრადიცია (თუმცა, ტრადიციამდე ჯერ კიდევ შორია) და და-ჯილდოების (ცერემონილი ისევ მთაწმი-დანაც გამართეს.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბა" შარშან დაარსდა (დამფუძ-ნებლები - "თი ბი სი ბანკი", გაზეთი "24 საათი" და მწერალთა გაერთიანება "ქარ-თული პენ-კლუბი") და ჯერჯერობით ქა-რთულ სიამაღვლეში ერთადერთი სოლი-დური კონკურსად რჩება. სხვა ფაქტორე-ბთან ერთად, ამას პრემიალორ თანხაც განაპირობებს. 2 ათასი ლარი ინვლსიბი-ან გერმანელ მწერლის, შესაძლოა, სასა-ცილოდ არ ეცოს, თუმცა, საქართველო

არც ინგლისია და არც გერმანია; ბუკე-რისა და ნობელის პრემიათა დონეზე ზომ მხოლოდ ოცნება შეიძლება, ამიტომ, ჯობს, ოცნებას თავი დავანებოთ და სა-ბანი ისე დავიხუროთ, როგორც გვწედე-ბა. საბანი კი ჯერჯერობით რვა მწერ-ალს, ანუ რვა გამარჯვებულს ჰყოფნის. სწორედ ამდენია პრემიების რაოდენობა. თუმცა, სამომავლოდ ამ რიცხვის გაზრ-და არ არის გამორიცხული. ცერემონია-ლის ერთ-ერთმა წამგვანმა და ჟიურის წევრმა, ლამა ბაქრაძემ სურვილი გამოთი-ქვა, საკადრისი პატივი მიეცოს ესეს და მომავალ წელს ცალკე ნომინაციად გამო-იყოსო. თუმცა, ეს მომავლის საქმეა, ჯე-რჯერობით კი ისევ გუშინდელ დღეს და-ვუბრუნდეთ. რა ხდებოდა "საბაზე"?

უპირველესად, მცირედ, მაგრამ მა-ინც შეიცვალა (ცერემონიალის ადგილი-დებარებოდა - შარშან იგი პლატონე მდე-ბარე გაუქმებული რესტორნის გვერდზე გაიმართა, წელს - რესტორნის აივანზე გადინაგვლა. შენობის წინ პატარა წი-თელი ხალხია იყო გადგენილი, შესასვლ-ლთან ორკესტრი იჯდა. ორგანიზატორე-

ბმა წელს უპირატესობა ჯაზურ მუსიკას მიანიჭეს და ცერემონიალის გაფორმება გიგი გაჩეჩილაძეს და მის ბიგ-ბენდს მია-წდეს. თუმცა, ჯაზი მხოლოდ ოფიცია-ლური წაწილის დანყებამდე ისმოდა. გა-მარჯვებულთა გამოცხადებას "მრავალ-ჟამიერი" ამშვენებდა. ცერემონიალი რა-ტი ამაღლებულს და ლამა ბაქრაძეს მიპა-ყავდათ. ორგანიზატორებმა ლიტერატუ-რულთან ერთად სპორტული კონკურსიც მოაწვეეს: გამარჯვებულებს მუსიკის და-სრულებამდე უნდა მოესწროთ მეორე სა-რთულამდე, ანუ აივნამდე ასვლა. ეს გზა იმდენად რთული აღმოჩნდა, რომ მიზნა-მდე მისულმა ოთარ ჭილაძემ განაცხადა, შემდეგში აქ ამოსვლას სჯობს, აღარ ვწე-როო; ლამა ბაქრაძემ კი მრავალმნიშვნე-ლოვანი კომენტარი გააკეთა - შორია "სა-ბამდე".

ყველაზე სწრაფად "საბამდე" ლამა ბულაძემ მიაღწია - საუკეთესო პიესისთა-ვის დაჯილდოებულმა მკოროფონთან მუსიკის დასრულებამდე მიირბინა, თუმ-ცა, სულს ისიც ძლივს თიტყმდა. გასული წელი მისი პიესისთვის - "ზეგზარი და მე-

ფისტოფელი" იღბლიანი აღმოჩნდა - სა-მეფო უბნის თეატრშიც დაიდგა და ლი-ტერატურული პრემიაც მოიპოვა. მარ-თალია, საზოგადოების გარკვეული წაწი-ლისთვის ეს სპექტაკლი საუკეთესო არ ყოფილა, მაგრამ თავად ავტორი სპექტა-კლსა და პიესას მკვეთრად მიჰნავს და არც ის ალიზიანებს, რომ ყველაზე ახალ-გაზრდა გამარჯვებულია. იგი მწერალს ასაკით არ აფასებს. მან დიდსულოვნად უწილადა თავისი კუთვნილი პრემია ყვე-ლა ქართველ დრამატურგს - თუმცა მხოლოდ კონცეპტუალურად, მერკანტი-ლური თვალსაზრისით კი მხოლოდ ჩემთ-ვის ვიტოვებთ.

ორი ნომინანტი უკვე შემოგაპრეთ - **ოთარ ჭილაძე**, რომელმაც გამარჯვა ნომინაციაში - წლის საუკეთესო რომანი ("გოდარი") და **ლამა ბულაძე** - ნომინა-ციით წლის საუკეთესო პიესა. დანარჩე-ნი ნომინაციები ასე განაწილდა: წლის საინტერესო პოეტური კრებულებად დასახე-ლდა **ბესიკ ხარანაულის** "წიგნი ამაზ ბე-სარიისა", პროზაულ კრებულად - **გი-ორგი ცოცანიძის** "წაწერი ხაზვრის წეე-

რითა", საუკეთესო თარგმანის ავტორი გახდა **ზეზგა მედულაშვილი** ("ქორლ-ლი", საუკეთესო დებიუტისათვის კი და-ჯილდოვდა **თამარ ფხაკაძე** ("სანამ დაგე-ვიძახებენ"). ნომინაციაში - წლის საუკე-თესო ლიტერატურული კრიტიკა და ეს-სე გამარჯვა **თეიმურაზ დიაშვილმა** ("დაბრუნება") და პირადად შეიძლება არ ვე-შენელოვანი პრემია - ლტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრე-ბული წვლილისთვის (5 ათასი ლარი) - გადაეცა ბაჩანა ბრეგვაძეს. სამწუხარო-დ, ჯანმრთელობის მდგომარეობამ შე-საძლებლობა არ მისცა თავად მიეღო ჯი-ლდო, თუმცა დამსწრე საზოგადოებას ქალშვილის ხელით სამაღლობელი წე-რილი გამოუგზავნა.

ასეთი ცერემონიალებისთვის დამა-ხასიათებელი ტრადიციისამერ გამარ-ჯვებულები სიტყვით გამოდიოდნენ, თუმცა უტყუალებისგან განსხვავებით, მეუღლებსა და შვილებს არ უხდენდნ მადლობას. მათი მადლოებრის ადრესა-ტი "სარიისა", პროზაულ კრებულად - **გი-ორგი ცოცანიძის** "წაწერი ხაზვრის წეე-

რაც შეეხება ჟიურის - მისი შემადგე-ნლობა შარშანდელივით ბოლომდე გასაი-დუმლოებული გახლდით. მასში შედიო-დნენ: შადიმან შამანაძე, ზაალ სამადაშ-ვილი, ლამა ბაქრაძე, ლევან ბრეგაძე, და-თო წერეთიანი, ნოდარ გურაბანიძე და ანდრო ბუაჩიძე. რატი ამაღლებლის სი-ტყვებით, მე პირადად შეიძლება არ ვე-თანხმებოდე ჟიურის გადანყევტილებას, მაგრამ ჟიური შემეცდარიაო. ამას ლამა ბაქრაძის კომენტარი მოჰყვა, რომელიც სულაც არ ფიქრობს ასე და ბოდიშიც კი მოიხადა იმ შეცდომებისთვის, რომლებე-იც, შესაძლოა, ჟიურის წევრებმა მუშაო-ბის დროს დაუშვეს. თუმცა, რგორც იტყ-ვიან, ეს ის შემთხვევაა, როდესაც "განა-ჩენი" საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ერთი სიტყვით, დაჯილდოება შედგა. "საბა" მომავალ წლამდე დაგეშვილობა ლტერატურის მოყვარულებს იმ იმედ-ით, რომ გაიასა და დასაფასებელია. საინ-ტერესო ავტორი გამოვლინდება, გამარ-ჯვებულებს კი დამგრეული შენობის კი-ბებზეზ არ მოუწევთ სირბილი.



ბაკურ სულაკაური. ბესიკ ხარანაული. ირაკლი სამსონაძე და ოთარ ჭილაძე.



ყველა გამარჯვებული ცნობილია.

#### ლაურეატები

**თამარ ფხაკაძე** ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ეს პრემია. ძალიან ბედნიერი ვარ და მთავარიებული მომავალი მუშაობისთე-ის. ვფიქრობ, ყველაზეარ სალიტერა-ტური კონკურსი, კლუბი, გამოცემა, აღმანახი - მისასაღებელია, რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა მწერლისთ-ვის, ადრესატამდე მიიტარო შენი შემო-ქმედება. უპირველსად კი ეს არის სტი-მული.

##### გიორგი ცოცანიძე

ძალიან მიზანია, რომ ეს პრემია კო-მერციულმა სტრუქტურამ დაანესა. ჩე-მი თაობის ხალხს ასხივს გასული საუე-კუნის 60-იანი წლების დასაწყისში "კო-მსომოლსკაია პრავდას" ფურცლებზე

გამართული დისკუსია თემაზე - "ფიზი-კოსებზე და ლირიკოსები". ეს იყო ტენიო-კრატების შეტევა ხელოვნებაზე. მასხ-ოვს, აზრის გამოთქმა სიხივეეს ცნობილ-სი. ვფიქრობ, ყველაზეარ სალიტერა-ტური კონკურსი, კლუბი, გამოცემა, აღმანახი - მისასაღებელია, რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა მწერლისთ-ვის, ადრესატამდე მიიტარო შენი შემო-ქმედება. უპირველსად კი ეს არის სტი-მული.

##### თეიმურაზ დიაშვილი

რასაკვირველია, კმაყოფილი ვარ წლევაანდელი "საბათი". მხოლოდ იმიტ-ომ არა, რომ მე გავხდი გამარჯვებული, უპირატესად ჟიურის ობიექტური მუ-შაობა უნდა აღვნიშნო - ჩემი აზრით,

ყველა ნომინანტი იმსახურებდა ამ შე-ვასებას. მართალია, ღირსეული ადამი-ანები - ძალიან საინტერესო მწერლები დარჩნენ პრემიის გარეშე, მაგრამ ფაქ-ტია, რომ ჟიურიმ შეძლო ორთულ სიტუ-აციიშიც კი სწორი გადწყვეტილების მიღება.

##### ბესიკ ხარანაული

რასაკვირველია, სასიხარულოა და-ფასება შენი მკითხველისგან. ძალიან მი-ნდა, ასეთი პრესტჟული და წარმატე-ბული კონკურსები ბევრი იყოს. იდეაც კი მაქვს, რომ საქართველოს მხარეებ-საგ ჰქონდეს მსგავსი პრემიები. განსაკუ-თრებით ჟიურის მუშაობით ვარ კმაყო-ფილი. ეს პროცესი იმის მიხედვით ფას-დება, რამდენად მწიშნეულობა ავტორ-

ებს არჩევენ მისი წევრები. ეს მწიშნე-ულობენდ განსაზღვრავს პრემიის შემდგ-ომ პრესტიჟს. ვფიქრობ, წელს ჯილდოე-ბი ყველამ დამსახურებულად მიიღო. თუმცა, რამდენიმე ძალიან საინტერესო ავტორი პრემიის გარეშე დარჩა.

##### ლამა ბულაძე

ყველაზე მეტად სასიამოვნო ის არ-ის, რომ განუელი მუშაობა გიფასდება და ხვდები - იმ დროს, რაც ამ წანარმო-ებზე დახარჯე, ტყუილად არ ჩაუვლია.

##### ზეზგა მედულაშვილი

პირველ რიგში "კავკასიურ სახლს" მინდა მადლობა გადავუხადო, კონკრე-ტულად კი ნარია გელაშვილს, რომელმ-აც ეს ნიგნი გამომიცა. ბუნებით ნაკლე-

ბად პრეტენზიული ვარ, ამიტომ ჩემთე-ვის ძალზე მოულოდნელი იყო როგორც ამ პრემიაზე წარდგენა, ასევე გამარჯ-ვება. სიხარულსაც ვერ ვახერხებ. იმდე-ნი საინტერესო მთარგმნელია, განსა-კუთრებით კი ახალგაზრდები, ასე მგო-ნია, ვილაცა გზაზე გადავუდგეო. იმე-დი მაქვს, მომავალში მათ შორისადა დაფასებენ.

##### ოთარ ჭილაძე

როცა წერ, არ ვფიქრობ, რომ პრე-მიას მოგანიჭებენ, ამაზე არც უნდა იფე-ქირო, რადგან შენ ამას ჯილდოსთვის კი არ აკეთებ, არამედ იმიტომ, რომ ასე გნანას. რასაკვირველია, თუ შენს წანე-რს შემდეგ ვინმე დაფასებს, ძალიან კარგია. მე ძალიან მიზანია, რომ ეს ჯი-

ლდო არსებობს და დღევანდელ ვითა-რებაში კიდევ არის ხალხი, ვინც ფიქრ-ობს ლიტერატურასა და მწერალზე. მწერალი დღეს ძალიან ცუდ მდგომა-რეობაშია, რაზეც ჟურნალისტები დუმე-ხართ. მწერლობა იღუპება, თქვენ კი ეს არც გაიბნებთ. ამიტომ ადამიანე-ბი, ვინც ასეთ პრემიებს აწესებს, ჟიურ-ის წევრები, რომლებიც ამაზე მუშაობ-ენ - პატივსაცემი და დასაფასებელია. ისინი ერთნეულ საქმეს ემსახურებიან. დღეს გინდა სანგარში მგდარხარ, გინ-და ლიტერატურულ პრემიაზე გიფიქ-რია. რომელი უფრო მიმეგნელობია - კიდევ საკითხავია. ქართველების კულ-ტურა გადაგვარჩენს, რადგან ჩვენზე კარგი იარაღი ბევრს აქვს - უკეთესი კულტურა - ძალიან ცოტას.

ფეხბურთი

# ბატონო ივო, დიდი მადლობა!

მიხეილ აბაიშვილი

დღის მთავარი საფეხბურთო მოვლენა, წესით, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგური თამაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ თბილისის “დინამოს” ბანაკიდან მოსულმა ინფორმაციამ ნაკრებების ამბავი დაჩრდილა: ივო შუშაკი “დინამო-დან” წავიდა.

ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც “დინამოს” პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ მოგვანოდა, ასეთია: ივო შუშაკმა დატოვა თბილისის “დინამოს” მთავარი მწვრთნელის პოსტი და დღეიდან (27 აპრილიდან) გუნდს “დინამო 2”-ის მწვრთნელი გაიგეგუჩაძე უხელმძღვანელებს.

როგორც იქნა, გაირკვა, რა იყო “დინამოს” წარუმატებლობების მთავარი მიზეზი. აი, თურმე, რატომ ვერ იგებდა საქართველოს ყველა დროის საუკეთესო კლუბი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. აი, თურმე ვინ უშლიდა ფეხბურთელებს ხელს. კლუბის ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, აღმოაჩინა მთავარი დაბრკოლება ჩემპიონობისაკენ მიმავალ გზაზე და დღეიდან “დინამო” შეუქცევადი პროგრესის გზით წავა.

მართლაც, რა უმადური ხალხი ვართ ქართველები და რა მალე ვივინყებთ რაღაცეებს. ზუსტად 1 წლის წინ ივო შუშაკი საქართველოს ეროვნული გმირი



„დინამომ“ შუშაკი გაათავისუფლა.

## ამხანაგური თამაში ამხანაგის გარეშე

მიხეილ აბაიშვილი

რაც წლები გადის, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ საქართველოს ნაკრებთან ამხანაგობა არავის სურს. გუშინდელი დღე უეფა-ს მიერ ამხანაგური თამაშების ოფიციალურ დღედ იყო გამოცხადებული. ევროპის ყველა ქვეყანამ მონახატოლ-სწორი მეტოქე საკუთარი ეროვნული ნაკრებისთვის. აი, ჩვენ კი ეს ამჯერადაც ვერ შევძელით და ჟირესმაც, სულ არარაობას, ცალუღელა ხარი მაინც შემრჩესო, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები დაუპირისპირა ერთმანეთს.

თუმცა, გუშინდელი ნაკრებისთვისაც საპატიო განსაზღვრების “ეროვნულის” დართვა ძალზე გადამეტებულია. იმ 18 ფეხბურთელიდან, რომელმაც გუშინ ეროვნუ-

ლი ნაკრების მაისური მოირგო, ოფიციალურ შესარჩევ ტურნირში თამაშის მანსი, ალბათ, 3-4-ს თუ ექნება. ამიტომაც, გუშინდელმატჩს, პირველ რიგში, სასელექციო დატვირთვა ჰქონდა და ეს შეხვედრის შემდეგ ალენ ჟირესს არც დაუშლავს.

“დღეს ჩემი მთავარი მიზანი იყო იმ ფეხბურთელებზე დაკვირვება, რომლებიც ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის კანდიდატებად მოიაზრებიან. შემიძლია განვაცხადო, რომ ამ თვალსაზრისით კმაყოფილი ვარ. მე დღესაც ბევრს მივეცი შანსი და ამას მომავალშიც ყოველთვის გავაკეთებ. ყველა ქართველ ფეხბურთელს, რომელიც თავს გაიმოიწეს, საქართველოს ჩემპიონატიდან იქნება იგი თუ უცხოეთის რომელიმე კლუბიდან, ნაკრებში მოხვედრის შანსი ექნება,” - განა-

ცხადა პრესკონფერენციაზე ჟირესმა.

რაც შეეება თამაშს, იგი ავლა-ბარში, “ოლიმპის” სტადიონზე გაითმართა და საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია. სტადიონის ერთადერთი ტრიბუნა ბოლომდე შეივსო (3 000 მაყურებელი) და ამას გარდა, გულშემატკივარი არენის მთელ პერიმეტრზე შეიკრიბა.

მატჩის დებიუტში უფრო ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები აქტიურობდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვიტ ჯორჯიელი მარცვალაძე, რომელიც ერთერთ საუკეთესო იყო ორივე გუნდის შემადგენლობაში. ამ ფეხბურთელს ეროვნულის დაცვის ხაზი მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა და დარწმუნებული ვარ, ჟირესთან ბრწყინვალე რეკლამაც გაიკეთა. მატჩში ერთადერთი გოლი გა-

ვიდა და ეს გოლი ეროვნული ნაკრების დებიუტანტის, საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირის, სიონელი ბორის გონჩაროვის ანგარიშზეა. მას ბურთი ახალაიას დარტყმის შემდეგ მიუვიდა, საჯარიმოში შეიჭრა და “დინამო 2”-ის მეკარე თოთლაძესთან ერთი-ერთზე დარჩენილს გატანა აღარ გასჭირვებია. საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დევაძე (მერლანი), დიდავა, ჭიჭეიშვილი, შაშიაშვილი (კვარაცხელია), კვირკველია (ბაბუნაშვილი), ახალაია (გოცირიძე), გოგობერიშვილი, დილმელაშვილი, კორღალაძე (აფციაური), მენთეშაშვილი (ბურდული), გონჩაროვი.

“ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს. ჩემს თანაშემწესთან, გია გურულთან ერთად საქართველოს ნაკრების თითოეულ პოტენციურ კანდიდ-

ატს ვაკვირდებით და ვსწავლობთ მათ შესაძლებლობებს. მიუხედავად იმისა, რომ უძლიერესი შემადგენლობის ერთად თავმოყრა ვერ მოვახერხე, ჩემთვის უკვე გამოკვეთილი მაქვს იმ გუნდის ხერხემალი, რომელიც შესარჩევ ტურნირში საქართველოს ღირსებას დაცავს. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებისთვის ვიბრძოლებთ. დღეს საქართველოს ქვეჯგუფის ფავორიტად არავინ მიიჩნევს, თუმცა ეს ხელისშემშლელ ფაქტორად არ მიმაჩნია. ჩვენ მაქსიმუმს გავიღებთ მიზნის მისაღწევად,” - ასეთი საკმაოდ ზოგადი, მაგრამ დამაიმედებელი კომენტარი გააკეთა ფრანგმა მწვრთნელმა, რომელმაც ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და ფეხბურთელების კონკრეტული გვარების აღნიშვნისაგან ისევ თავი შეიკავა.

ინფორმაცია

**ფეხბურთი.** ბრაზილიელმა რომარიომ ოფიციალურ მატჩებში თავისი მე-900 გოლი გაიტანა. საიუბილეო გოლი რომარიომ ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩში “ფლუმინენსე” – “კურიტიბა” გაიტანა. ამ გოლმა “ფლუმინენსეს” ქულა მოუტანა. მატჩის შემდეგ რომარიომ სამასსოვროდ მაისური მიიღო, რომელსაც ეწერა – 900. რომარიოს არაერთხელ უთქვამს, რომ მისი მიზანია, 1000 გოლი გაიტანოს. ამ ოცნების აღსრულებისთვის რომარიოს მინიმუმ სამი წელი კიდევ დასჭირდება. ყოველ შემთხვევაში მე-800 გოლი მან სამი წლის წინათ, 2001 წელს გაიტანა.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** “ვალიადოლიდის” მწვრთნელი ფერნანდო ვასკესი არაღამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გუნდიდან გაათავისუფლეს. “ვალიადოლიდი” ამ დროისთვის სასიფათო ზონასთან ახლოს იმყოფება. ესპანეთის წლევეანდელი ჩემპიონატის დარჩენილ ოთხ ტურში გუნდს მეორე მწვრთნელი ანტონიო სანტოსი განვრთნის.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** “ვერდერს”, რომელმაც ბოლო დროის გერმანიის ჩემპიონატში ტემპს უკლო, პრობლემები დაემატა. სეზონის ბოლომდე მას ნახევარმცველ კრისტიან ლისტერის გარეშე მოუწევს თამაში, რომელმაც მუხლის ტრავმა მიიღო. უნდევლმა ფეხბურთელმა ამ დაზიანების გამო ვერ შეძლო კვირას “ბოხუმთან” მატჩის სრულად ჩატარება.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** უკრაინელი ანდრეი შეჩენკო, ისევე, როგორც კახა კალაძე, პირველად თავის საფეხბურთო კარიერაში შეიძლება იტალიის ჩემპიონი გახდეს. საემარსია, “მილანმა” თავის მოედანზე ფრედ ითამაშოს “რომასთან” და მიზანი პრაქტიკულად განხორციელებული იქნება. “ჩვენთვის ევროპული სეზონი დასრულდა, მაგრამ თუ ჩემპიონატს გამარჯვებით დავასრულებთ, ეს შესანიშნავი იქნება. უდინეში ფრე ჩვენთვის ფატალური არ გახდება. მთავარია, არაფრის შეგვეშინდეს,” - განაცხადა უკრაინელმა.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** “ჩელსის” მცველ მარსელ დესაის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. გუნდმა ამის გამო აშკარადა აღძრა. ფრანგი მცველი ფერნანდო მორიენტესისთვის იდუაყის ჩარტყმის გამო დაისაჯა. იმ შემთხვევაში, თუ აშელციას დააკმაყოფილებენ, დესაის საშუალება ექნება, ჩემპიონთა ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში “მონაკოს” წინააღმდეგ ითამაშოს.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** მუხლის ტრავმის გამო “ვეერტრენის” ნახევარმცველი ტომას გრავესენი სეზონის დარჩენილ მონაკვეთს გამოტოვებს. თუმცა, დანიელი ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს. გრავესენმა ტრავმამ “ბლეიქერთან” შეხვედრაში მიიღო.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** “მანჩესტერ იუნაიტედის” ირლანდიელ ნახევარმცველ როი კინს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების გადადება მოუწევს. ტრავმის გამო ის პოლონეთის წინააღმდეგ ვერ ითამაშებს. სერ ალექს ფერგუსონი კი საერთოდ წინააღმდეგვია იმის, რომ კინმა ამხანაგურ შეხვედრებში ითამაშოს.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** ლონდონის “ჩელსის” ფორვარდი მიქაელ ფორსელი იჯარის წესით მომდევნო სეზონს “ბორმინგემში” გაატყობს. ფორსელმა წელსაც “ბორმინგემში” შემადგენლობაში ითამაშა და 16 გოლი გაიტანა.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** “ბოლნონის” ვეტერანმა ფორვარდმა ჯუზეპე სინიორიმ განაცხადა, რომ წლევეანდელი სეზონი სერია A-ში მისთვის უკანასკნელი იქნება. “შეიძლება საფეხბურთო კარიერა დავასრულო ან საზღვარგარეთ, უფრო ნაკლებად დაძაბულ ჩემპიონატში ვითამაშო,” - განაცხადა 36 წლის ფორვარდმა.

■ ■ ■  
**ფეხბურთი.** ფიფა-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ფეხბურთის წესების დახვეწის ინიციატივით გამოვიდა. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ყოველმა მატჩმა გამარჯვებული უნდა გამოავლინოს. ბლატერის თქმით, ასეთი გამარჯვებული შეიძლება მატჩის შემდგომი პენალტების სერით გამოვლინდეს. “გამარჯვებული ყოველ შეხვედრაში უნდა გამოვლინდეს. როცა ბანქოს ან სხვა თამაშს თამაშობთ, ყოველთვის ვიღაც იმარჯვებს. ამიტომ ვაფასობა უნდა მოვიკრიბოთ და ახალი წესი ფეხბურთშიც დავანერგოთ,” - განაცხადა ბლატერმა.

■ ■ ■  
**ჩიგბურთი.** უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ტურნირის საპრიზო ფონდი 4,8 პროცენტით გაიზარდება. გამარჯვებული 1,08 მილიონ ამერიკულ დოლარს მიიღებს. ქალთა თანრიგის ტრიუმფატორი კი 560,5 ათას დოლარს ამრიგად, გაუთა და ქალთა საპრიზო ფონდებს შორის განსხვავება კვლავ რჩება.

■ ■ ■  
**კალათბურთი.** “ბოსტონ სელტიკსის” მთავარი მწვრთნელი ჯონ კეროლი თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც “სელტიკსმა” პლეი-ოფის პირველივე რაუნდში “ინდიანასთან” სამარცხვინო მარცხი იწვნია – 0:4. ჯონ კეროლი უაღრესად კვალიფიციური სპეციალისტია, მაგრამ ჩვენ გუნდს ცვლილებები სჭირდება,” - განაცხადა “სელტიკსის” აღმასრულებელმა დირექტორმა დენი ეინგემ.

■ ■ ■  
**კრივი.** ვიტალი კლიჩკო უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმაშმა მამაცობისთვის პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. შეგახსენებთ, რომ უკრაინელი გიგანტი შაბათს WBC-ის ტერსით მსოფლიო ჩემპიონი გახდა და ტექნიკური ნოკაუტით სძლია სამხრეთ აფრიკელ კორი სანდერსს.

## მარადღონა გონჯე მოვიდა

ცხრაღლიანი შოკის შემდეგ არგენტინელი დიეგო მარადონა პირველად მოეგო გონს და შეძლო თავის შვილებთან ლაპარაკი. აპრიგად, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ მარადონას საქმეები უკეთესობისკენ მიდის.

ბიულეტენში, რომელიც ბუენოს-აირესის მედიცარიალურ-არგენტინულ კლინიკაში გაავრცელეს, ნათქვამია, რომ გულის შეტევის შემდეგ, რისთვისაც ყოფილი ფეხბურთელი ჰოსპიტალში მოათავსეს, 43 წლის დიეგო მარადონას ჯანმრთელობის მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა. “გონზე მოსვლის შემდეგ დიეგომ შეძლო, თავისი ბავშვებისთვის რამდენიმე სიტყვა ეთქვა,” - ოფიციალურ ცნობაში აღნიშნა ჰოსპიტალის წარმომადგენელმა. ორი დღის წინათ ექიმებმა პაციენტი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამოითშეს და მკურნალობას ანტიბიოტიკებით აგრძელებენ. ამასთან, მათი პროგნოზი კვლავინდებურად თავშეკავებულია.

შეგახსენებთ, რომ არგენტინული ფეხბურთის ყოფილი სუპერგარსკვლავი უკვე მეორე კვირაა, რაც ბუენოს-აირესის ერთ-ერთ ჰოსპიტალში გულის შეტევით იმყოფება. რეანიმაციაში ის 18 აპრილს ჰიპერტონიული კრიზის დიაგნოზით მოათავსეს. პირველად ხელოვნური სუნთქვის აპარატს მარადონა პარასკევს ჩამოაშორეს. თუმცა, პაციენტს ჰაერის უკმარისობის გამო შეტევა მას შემდეგ დაემართა, რაც ექიმებმა დამამშვიდებელი საშუალება გაუუეთეს. ამის გამო ექიმებმა აპარატი ხელახლა ამოკმედეს. ამჟამად მარადონას ოქსიგენოთერაპია უტარდება.



მარადონას სიცოცხლის საფრთხე აღარ ემუქრება.

ქალოსნობა

# ფიცარნაგზე დაბრუნება



ასანიძე დიდ სპორტს უბრუნდება.

### ბიბა გარასაშვილი

საქართველოს ძალოსანთა ნაკრებმა ყველაფერი გაიღო იმისთვის, რომ დარჩენილი ორადორი საოლიმპიადო საგზურიდან ერთერთს დაუფლებოდა.

უკრაინის დედაქალაქს, რომელიც ორიოდე დღის წინათ ევროპის 83-ე ჩემპიონატს მასპინძლობდა, საქართველოს ძალოსანთა ნაკრებიც ეწვია. ქართველ ძალოსანთა მიზანი ათენის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების დაუფლება გახლდათ. რეალურად კი აქედანვე იყო ცნობილი, რომ კიევურ ფიცარნაგზე ორი ლიცენზიისთვის უნდა გვებრძოლა. გვებრძოლა გუნდურად და დაფეკეპეებიან პირველი, ან მეორე ადგილი იმ ნაკრებებს შორის, რომლებიც დღემდე საათენო საგზურების უქარისობას განიცდიდნენ.

შეიძლება ითქვას, საქართველოს ნაკრების თითოეულმა წევრმა საკუთარი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ათენის ოლიმპიურ ფიცარნაგზე საქართველოც წარმდგარიყო. ქართველმა ძალოსნებმა დააგროვეს რა ქულების საჭირო რაოდენობა, გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს. ადგილი, რომელიც ერთბაშად ორ ლიცენზიას იძლეოდა. მართალია, უკრაინიდან უმედლოდ დავებრუნდით, მაგრამ ამასაც წინასწარ ვიყავით შეგუებული. საქმე ისაა, რომ, ვიდრე საქართველოს ნაკრები უკრაინის დედაქალაქისკენ მიაშურებდა, ნაკრების გამწვევმა ძალამ, მსოფლიო ჩემპიონმა გიორგი ასანიძემ გვითხრა, რომ მიზანი ლიცენზიებისთვის საჭირო ქულების დაგროვება გახლდათ. და კიდ-

ევ, ისიც აშკარა გახლდათ, რომ თუკი ვინმეს შეეძლებოდა მედლებისთვის ბრძოლა, ასეთი გიორგი ასანიძე უნდა ყოფილიყო, მაგრამ ისევ მისი ნათქვამიდან გამომდინარე, წინასწარვე ვიცოდით, რომ ზედმეტად, ასე ვთქვათ, თავს არ მოიკლავდა და ამ შემთხვევაში მისთვის პროგრამა მინიმუმიც და მაქსიმუმიც ლიცენზიისთვის საჭირო წონის დაძლევა იქნებოდა. მით უმეტეს, რომ მხრის ტრავმა ახალი მოშუებული აქვს.

“ჩვენი მიზანი თავიდანვე ორი ლიცენზიის დაუფლება გახლდათ, - გვეუბნება გიორგი ასანიძე, - ევროპის ჩემპიონატი კი ისე წარიმართა, რომ მონაწილეთა შემხედვარეთ, ეჭვი გაგვიჩნდა მათ დაუფლებაში. აქედან გამომდინარე აქცენტი ერთი საგზურის მოპოვებაზე გადავიტანეთ. მაგრამ ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ორივე ლიცენზიას დაუფლებოდით, ანუ გავსულიყავით პირველ ადგილზე. შეიძლება ითქვას, ნაკრების თითოეულმა წევრმა ჩასათვლელი ქულა მოიპოვა”

**- წინააღმდეგობა ვინ გაგიწიათ, ვისთან უფრო გაგიჭირდათ?**

- ალბანელებთან და ჩეხებთან ბრძოლა ძალზე რთული აღმოჩნდა. იოლი არც იტალიელებთან, ესპანელებთან და ხორვატებთან ყოფილა, მით უმეტეს, რომ თითოეულ ჩვენგანს თანაბარი შანსები გვქონდა მიზნის მისაღწევად. ამ შემთხვევაში ყურადღებას ვამახვილებ ძირითად კონკურენტებზე, თორემ 16 ქვეყანა იყო ისეთი, რომელიც ჩვენსაკეთ საათენო საგზურებისთვის იბრძოდა. ბოლო წუთამდე ურთიერთობის გარკვევა კი ისევ და ისევ

ალბანელებთან მოგვინია, რომლებმაც ყველა წონით კატეგორიაში ჩასათვლელი ქულები დაისაკუთრეს. მიუხედავად ამისა, ძირითად კონკურენტებს 9 ქულით (288 ქულა) მაინც ვაჯობეთ და, შესაბამისად, გუნდური პირველი ადგილიც ჩვენ დაგვრჩა.

**- ანუ, ლიცენზიებისთვის მებრძოლ ქვეყნებს შორის დავიკავეთ პირველი ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ უმედლოდ დატოვეთ კიევი?**

- მართალია, ჩემპიონატი ერთიანი სისტემით მომდინარეობდა, მაგრამ გუნდური პირველი ადგილი ულიცენზიოდ დარჩენილ ქვეყნებს შორის დავიკავეთ. აი, საჩემპიონო დავაში კი მე-11. ზოგადად კი ევროპის ჩემპიონატზე 34 ქვეყანა გამოდიოდა.

**- ახლა, როდესაც ორი ლიცენზია მოპოვებულია, ბუნებრივია, იბადება კითხვა, ვისზე გადანაწილება საათენო საგზურები. ერთი, ეჭვს გარეშეა, გიორგი ასანიძის საკუთრება იქნება, მაგრამ მეორე?**

- ჩემზე არაა დამოკიდებული. ეს საკითხი გუნდმა, გუნდის მწვრთნელებმა და ფედერაციის ხელმძღვანელებმა უნდა გადაწყვიტონ. რა თქმა უნდა, ჩემი სიტყვაც მეთქმის, მაგრამ მიმარჩია და ლოგიკურიცაა, ის წავიდეს ათენში, ვინც უკეთ წარმოაჩენს საკუთარ შესაძლებლობებს. არც ისაა გამორიცხული, რომ ის ლიცენზია საერთოდაც გაეაუქმოთ. იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენს არანარი შანსი არ ექნება, მაშინ რა აზრი აქვს მის ათენში წაყვანას? ყოველ შემთხვევაში, ეს ჩემი გადასასწყვეტი არაა.

სპორტა

# იან ტორპი ხელშეუხებელია

ლეგენდარულმა ავსტრალიელმა მოცურავე იან ტორპმა ეროვნულ ნაკრებში შესარჩევ ტურში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ ის იმდენად ძლიერია, რომ შერჩევის გარეშეც იმსახურებს ავსტრალიის ნაკრებს შემადგენლობაში ადგილს – მიაჩნიათ ავსტრალიელებს. ამრიგად, ტორპი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე მაინც ისაპარეზებს თავის საფირმო 400 მეტრ დისტანციაზე და, რა თქმა უნდა, შეეცდება, თავის ოლიმპიურ ოქროს ფონდს კიდევ ერთი, მეოთხე ოქროს მედალი შეჰმატოს.

მსოფლიო რეკორდსმენი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონი იან ტორპი ათენში მაინც გამოვა 400 მეტრ დისტანციაზე ცურვაში. არადა, ტორპს წინა თევემი სერიოზული უსიამოვნება შეემთხვა. ოლიმპიურ ნაკრებში მოსახვედრ შესარჩევ შეჯიბრებაზე მან ფალსტატრტის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო და, შესაბამისად, ეროვნულ ნაკრებს მიღმა დარჩენის საფრთხე დაემუქრა. თუმცა, მოცურავე ირწმუნებოდა, რომ მას სტარტის წინ, უბრალოდ, ფეხი დაუცდა. ასეა თუ ისე, ამ დისკვალიფიკაციის შედეგად ნაკრებში ადგილი დამიკვიდრეს გრენტ ჰეკტმა, რომელმაც ის შეჯიბრება მოიგო და კრედი სტივენსმა. ტორპმა კი პროტესტი შეიტანა, რომელიც უარყვეს.

ტორპის დისკვალიფიკაციასთან დაკავშირებულმა ინციდენტმა ავსტრალია ორ ნაწილად გაყო. სპეციალისტთა დიდი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სტივენსი უარს იტყოდა, 400 მეტრ დისტანციაზე ცურვაში მონაწილეობა მიეღო და თავის ადგილს ტორპს დაუთმოდა.



იან ტორპი მაინც საუკეთესოა.

სხვები კი პირიქით, სტივენსს აქეზებდნენ, არ დანებებულიყო და ძალები ამ დისტანციაზეც მოესინჯა. არადა, იმთავითვე ნათელი იყო, რომ სტივენსს 400 მეტრზე ცურვაში გამარჯვების შანსი, პრაქტიკულად, არ ჰქონდა.

საქმე იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჯონ ჰოვარდის ჩარევა. მან განაცხადა, რომ თუ ტორპი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრ დისტანციაზე არ იცურავდა, ეს მთელი ავსტრალიისთვის ტრაგედია იქნება. 7 წლის განმავლობაში ტორპს 400 მეტრ დისტან-

ციაზე ცურვა ერთხელაც არ წაუზებდნენ, არ დანებებულიყო და ძალები ამ დისტანციაზეც მოესინჯა. არადა, იმთავითვე ნათელი იყო, რომ სტივენსს 400 მეტრზე ცურვაში გამარჯვების შანსი, პრაქტიკულად, არ ჰქონდა.

საქმე იმდენად გართულდა, რომ საჭირო გახდა ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ჯონ ჰოვარდის ჩარევა. მან განაცხადა, რომ თუ ტორპი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრ დისტანციაზე არ იცურავდა, ეს მთელი ავსტრალიისთვის ტრაგედია იქნება. 7 წლის განმავლობაში ტორპს 400 მეტრ დისტან-

**- კიევში თუ გამოიკვიტნენ ის სპორტსმენები, რომლებიც ათენში ფავორიტებად მოგვევლინებინ. პირადად შენს წონაში (84კგ.) რომელი ქვეყნებისგან უნდა ველოდით მედლებისთვის ბრძოლას და საერთოდ, რამდენი კილოგრამის დაძლევა იქნება საკმარისი სამეულში მოსახვედრად?**

- ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდა იმათი შესაძლებლობები, რომლებიც ათენში პირველობისთვის იბრძოლებნენ. ასეთი დაახლოებით რვა ძალოსანია. აქედან უმთავრესი პრეტენდენტი იქნება სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ბერძენი პიროს დიმასი, რომელსაც შინაური კედლებიც ხელს შეუწყობს.

ისე კი, კიევში გამოჩნდა ოთხი ახალგაზრდა სპორტსმენი, რომლებიც ათენში ვერა, მაგრამ შემდგომში დიდი შედეგებისთვის იბრძოლებენ. რაც შეეხება საჩემპიონო წონას, ამისთვის, ჩემი აზრით, 390-392 კილოგრამის დაძლევა იქნება საკმარისი. ალბათ, მესამე ადგილი დარჩება იმას, ვინც 385 კილოგრამს დაძლევს.

**- შენთან დაკავშირებით როგორაა საქმე. ვატყობთ, ტრავმა მოგიშუბია...**

- რაც მთავარია, ფიცარნაგზე დაბრუნება შეეძელი. ვვარჯიშობ სრული დატვირთვით. ახლა მთავარია, ის სპორტული ფორმა დავიმართო, რომელიც ორი წლის წინათ მქონდა. მაშინ კი იმ წონების დაძლევა შემიძლია, რომელიც დღეს ჩემპიონობას მომიტანდა. საბედნიეროდ, ტრავმაც მოშუშებული მაქვს. მართალია, გარკვეულ დისკომფორტს გვრძნობ, მაგრამ უფრო სიფრთხილის გამო. ერთი სიტყვით, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი.

ტურნირებში მონაწილეობისგან. სამშაბათს ტორპმა სიდნეის ოლიმპიურ აუზზე პრესკონფერენცია მოინვია, სადაც უკანასკნელ მოვლენებს კომენტარი გაუკეთა. “უალრესად მოხარული ვარ, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე 400 მეტრ დისტანციაზე ვიცურავებ, რადგან ჩემი პირველი ოლიმპიური ოქრო სწორედ ამ დისტანციაზე მოვიგე, - განაცხადა ტორპმა, - დარწმუნებული ვარ, რომ კრიეგმა გადაწყვეტილება სხვისი ჩარიგება გარეშე მიიღო. წინააღმდეგ შემთხვევაში ამ წინადადების მიღებაზე, უბრალოდ, უარს ვიტყვიდი.”

სტივენსზე ზენოლას კონკრეტულად არაფინ ახდენდა, მაგრამ მწვავე კონტინენტზე ისეთი საზოგადოებრივი აზრი ჩამოყალიბდა, რომ სტივენსს სხვა განმსაზავლი არ ჰქონდა. ამას გარდა, წარმოადგინეთ, რამხელა ტვირთი დააწვევოდა სტივენსს ზურგზე, თუ ის ოლიმპიურ თამაშებზე გაბედვად ტორპის საფირმო დისტანციაზე გამოსვლასაც. ეს ფაქტი ირიბად თვითონ ტორპმაც აღიარა. “მე და კრეგმა ვისაუბრეთ იმაზე, თუ უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში რამდენი რამის გადატანა მოუხდა, - აღიარა ავსტრალიელმა რეკორდსმენმა, - და ამის შემდეგ მას ყველაფრისთვის მაღლობა მოეახსენე.”

“ავსტრალიურმა საზოგადოებამ და პრესამ დიდი ზენოლა განახორციელა, როგორც ორივე ახალგაზრდა სპორტსმენზე, ისე ჩვენზეც - სპორტის ხელმძღვანელებზეც”, - თავის მხრივ განაცხადა ცურვაში ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელმა გლენ ტესტეკმა.

400 მეტრზე ცურვის გარდა, ტორპი 100 და 200 მეტრ დისტანციაზე კლასიკურ ცურვაშიც მიიღებს მონაწილეობას და ძალებს სამ ესტაფეტაზეც მოსინჯავს.

სპორტი

(B5)

მოკლედ

## კლიკოს ლუისი არ ეშვება

სასეხებით შესაძლებელია, რომ ვიტალი კლიკოსა და ლენოქს ლუისს შორის ბრძოლა მაინც შედგეს. უფრო მეტიც, არსებობს ინფორმაცია, რომ ტიტანების ეს ბრძოლა ათენის ოლიმპიური თამაშების შემდეგ გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, კლიკო აცხადებს, რომ შეეცდება, ბრიტანელს მოელაპარაკოს.

ვიტალი კლიკო მოლაპარაკების პროცესს ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შემდეგ დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ გასულ უიქენდზე კლიკო უფროსმა ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა კორი სანდერსი და WBC-ის ევრსიით სუპერმძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ლუისი ლოსანჯელესში ამ ბრძოლას დაესწრო და მისი დას-

რულების შემდეგ კლიკოს გამარჯვება გასახდელში მიუღოცა.

როგორც ვიტალი კლიკომ აღნიშნა, ის ლუისთან მატჩ-რევანშის დაგეგმვის შესაძლებლობას განიხილავს. “შეუძლებელი არაფერია, - განაცხადა მსოფლიო ჩემპიონმა, - ჩვენ მოლაპარაკებას ოლიმპიური თამაშების შემდეგ დავიწყებთ.” პირველი შეხვედრა კლიკოსა და ლუისს შორის შარშან ივნისში გაიმართა და ტექნიკური ნოკაუტით ლუისის გამარჯვებით დასრულდა. მაშინ რეფერიმ მატჩი კლიკოს ძლიერი სისხლისდენის გამო შეაჩერა. არადა, უკრაინელი გიგანტი ბრძოლას ქულებით იგებდა.

სანდერსის დამარცხების შემდგ კი კლიკომ საქვეყნოდ განაცხადა, რომ სურს ლუისს მატჩ-რევანშზე შეხედეს.

## ბატონი - შუმახარის მემკვიდრე?

ფორმულა 1-ის ჩემპიონატზე სან-მარინოს გრან-პრის როლა ჯენსონ ბატონმა მეორე პოზიციაზე დაასრულა, რითიც “ფერარის” ბოსთა ყურადღება დაიმსახურა და ბატონის გვარი გუნდის ხელმძღვანელობამ ბლოკნოტში ჩაინიშნა.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ბატონის ახალგაზრდულ ასაქს, ნათელი გახდება, რომ მას სულ ცოტა ხანში მოუწევს, უწყინარი ახალგაზრდიდან ევროპის საუკეთესო კლუბის ერთ-ერთ ლიდერად მოგვევლინოს. “ერთ მშვენიერ დღეს მიხალ შუმახერი ავტოსპორტს “სტოპს” ეტყვის. ჯერჯერობით ვფიქრობთ, რომ სწორედ ჯენსონია ის კაცი, ვინც მის შეცვლას იმსახურებს,” - განაცხადა “ფერარის” ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა. ამასთან ყველა განაცხადა, სწორედ ბრაუნმა განაცხადა, რომ ბატონი ყველა სხვა კანდიდატურაზე უკეთესია.

შეგახსენებთ, რომ მიხალ შუმახერი “ფერარის” კონტრაქტით



ქესონ ბატონი - ფორმულა 1-ის ახალი იმედი.

TV-სპორტი

ოთხშაბათი. 28 აპრილი

HTB + ФУТБОЛ

13:00 თავისუფალი დარტყმა  
13:15 განვლილი კვირის პიტ-ალლუმი – გერმანიის ჩემპიონატი. “ბაიერი” – “ბორუსია”  
15:00 “ევროფანკლუბი” – “ლაციო”  
15:30 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
16:25 თავისუფალი დარტყმა  
16:40 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
17:40 “FUTBOL MUNDIAL”  
18:10 განვლილი კვირის პიტ-ალლუმი – რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი, “ლოკომოტივი” – “შინიკი”. საპასუხო მატჩი 19:55 ლიბერთადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა  
20:25 “დარტყმა გოლისთვის”  
20:40 თავისუფალი დარტყმა  
20:55 სახალხო ტელეპროგრამა  
21:00 ესპანეთის ჩემპიონატი. “რეალი” – “ბარსელონა”  
22:45 განვლილი კვირის პიტ-ალლუმი – ინგლისის ჩემპიონატი. “ნოუკასლი” – “ჩელსი”. შეხვენიბისას (23:35) – თავისუფალი დარტყმა  
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
01:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
02:30 02:30-დან 04:00-მდე შესვენება  
04:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ  
05:00 NBA TV. “NBA-ს დიდი თამაშები”.

წელი 1988. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. “LOS ANGELES LAKERS” - “UTAH JAZZ”. მე-5 თამაში  
22:45 განვლილი კვირის პიტ-ალლუმი – ინგლისის ჩემპიონატი. “ნოუკასლი” – “ჩელსი”. შეხვენიბისას (23:35) – თავისუფალი დარტყმა  
00:40 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
01:35 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა  
02:30 02:30-დან 04:00-მდე შესვენება  
04:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ  
05:00 NBA TV. “NBA-ს დიდი თამაშები”.

HTB + СПОРТ

11:00, 14:10, 16:45, 19:50, 22:40 პრესენტი  
11:20, 22:00 “ოლიმპის შეილები”  
11:25, 14:25 “ფორმულის პარმონია”  
11:45 “ბორის მაიოროვის არქივი”  
12:15 პოლინიგა. “ABC მასტერსი”  
13:10 “ვარსკლავური სამშაბათი”  
14:45 “ბილიარდის მეუფენი”  
15:15 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონა-

ტი კიევში. ვაუები. 105კგ  
17:00 ლიბერთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. რუსეთი – ავსტრალია. შესვენებისას (18:00) - “NHL – პოლუსი”  
19:15 ჭადრაკი. “საჭადრაკო მიმოხილვა”  
20:05 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრის მატჩების მიმოხილვა  
21:00 “ათენის გაზზე”  
22:05 სახალხო ტელეპროგრამა  
22:10 “Power week - NHL-ის კვირა”  
22:55 ფიგურული სრიალი. ბრაიან ბოტ-ტანის შოუ  
23:50 “NHL – პოლუსი”  
00:05 ბრძოლა წესების გარეშე - “Ultimate Fighting Championship”  
01:25 ახალი ამბები  
01:40 ცხენოსანთა შოუ პარიზის სპორტის სახალხო “ბერსიში”  
02:40 02:40-დან 04:00-მდე შესვენება  
04:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. “TORONTO MAPLE LEAFS” - “PHILADELPHIA FLYERS”. მე-3 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია

EUROSPORT

11:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა  
12:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი  
13:00 ფეხბურთი. ევროგოლი  
14:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში  
17:00 კრიკი. საერთაშორისო შეჯიბრება გერმანიაში  
18:00 ფეხბურთი. პლანეტა ევრო-2004  
18:30 ველირბოლა. რომანდის ტური შევიცარიაში  
20:00 ფეხბურთი. საფრანგეთის თასი  
22:00 გოლფი. ევროპული ტური ესპანეთში  
22:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში  
23:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში  
01:45 ახალი ამბები  
02:00 ფეხბურთი. აშხანაგური მატჩი მაიოკოში  
04:00 მულტისპორტი  
04:15 ახალი ამბები

## ეპროკა და ისლამი



კორდობას მეჩეთი

თემა, რა თქმა უნდა, ძალიან ფართოა. მაშინაც კი, როცა მხოლოდ შუასაუკუნეებით შემოიფარგლება...

ტამპლიერებს მუსლიმანებთან კავშირსა და მათგან სულიერი გავლენის განცდას აბრალებდნენ. მაგრამ ისლამის სულიერი გავლენა ევროპაში მანამდეც არსებობდა, თანაც გაცილებით უფრო დიდი მას-შტაბით. მარტო ის რა ღირს, რომ სწორედ ამოხრებული სარკინოზე-ბის წყალობით მიიღო ევროპამ პლატონისა და არისტოტელეს თხზუ-ლებები, გაეცნო მათ არაბ კომენტატორებს. მაგრამ საკუთრივ ისლა-მური რელიგიის სულიერი გავლენაც არ ყოფილა სუსტი. ისლამი, მა-გალითად, ამტკიცებს, რომ მისი მოძღვრება ყველაზე ახლობელია ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის. მამ რას უნდა ნი-შნავდეს XI საუკუნიდან გაჩენილი ის ტენდენციები, როცა ევროპელ-მა ღვთისმეტყველებმა თითქმის ერთხმად დაიწყეს ბუნების განდი-დება? თანდათანობით გაჩნდა თეოლოგიური თვალსაზრისი, რომ ქვეყნიერება არც მთლად ბოროტებაშია ჩაფლული, რომ ის მშვენიე-რია და იმსახურებს გონების თვალით განხილვას.

ასევე ისლამური წარმომობისაა პრედესტინაციის, ანუ წინასწარ-განსაზღვრულობის იდეა, რომელიც არაბებთან დისკუსიებმა შეიტა-ნეს ქრისტიანულ ღვთისმეტყველებში და რომელსაც კალვინის და-ბადებამდე მშვიდად ეძინა დამტვერილ ფოლიანტებში. აბა, საიდან უნდა მოსულყო შუასაუკუნეობრივ ღვთისმეტყველებაში კამათი იმ-ის შესახებ, აქვს თუ არა ქალს სული? — რა თქმა უნდა ისლამიდან.

ადამიანები ძალიან ხშირად განიცდიან გავლენას და ვერ ამჩნევენ ამას. ხანდახან ისიც ხდება, რომ გავლენას პოულობენ იქ, სადაც ის არ ყოფილა.

ასეა თუ ისე, სარკინოზები ევროპაში შემოვიდნენ, დაიპყრეს ესპა-ნეთი, სამხრეთი საფრანგეთის ნაწილი და მუდმივად წინ მიინევდნენ, სანამ 732 წელს არ დამარცხდნენ შუატიესთან ბრძოლაში ფრანკების წინააღმდეგ. ამან შეაჩერა არაბული ექსპანსია. მაგრამ წარმოვიდგი-ნოთ, რა იქნებოდა, არაბებს რომ გაემარჯვათ...


რა თქმა უნდა, ეს მსჯელობა მეცნიერული არ იქნება, მაგრამ ერ-თი რამ კი ზუსტია: მტყუანისა და მართლის გარკვევა ამ ბრძოლაში ასევე არამეცნიერულია. არაბთა სულთნის, **აბდ-არ-რახმანის** თვალ-საზრისით, სარკინოზები მართალ ომს ეწეოდნენ წარმართთა წინააღ-მდეგ.

მაინც რა მოხდებოდა? საფრანგეთი ესპანეთის მსგავსად დაიფა-რებოდა მეჩეთებითა და ალ-კაზარებით, მაგრამ რომანული სტილის განვითარება და ქრისტიანთა რელიგიური მოშურნეობა არანაირად არ დაბრკოლდებოდა: მუსლიმანები თავიდანვე გამოირჩეოდნენ რჯულშემწყნარებლობით, სანამ ჯვაროსანთა განუწყვეტელმა თავ-დასხმებმა, ბოლოს და ბოლოს, დასაბამი არ დაუდეს მუსლიმურ ფუნ-დამენტალზმს. სამაგიეროდ, არაბთა გამარჯვების შემთხვევაში ევ-როპა უფრო ადრე გაეცნობოდა ანტიკურ აზროვნებას. არაბთა მეც-ნიერებაც გაცილებით უფრო დიდ სიმაღლეზე იყო ასული, ვიდრე რო-მაული სიბრძნის ის ნარჩენები, რომელთა გაუთავებელ ცოხნას ეწეო-დნენ ევროპელი სწავლულები ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათას-წლეულის ბოლოს. არაბები კი მეცნიერებისადმი ნამდვილი ვნებით იყვნენ შეპყრობილი. ამაში ძველ ბერძნებსაც არ ჩამოუვარდებოდენ-ეს. სწორედ არაბმა მეცნიერებმა მოახდინეს ბერძნული მეცნიერები-სა და ინდური სიბრძნის სინთეზი, შეიტანეს მასში მნიშვნელოვანი სა-კუთარი წვლილიც. ამის წყალობით მიეცა კაცობრიობას ალგებრა და ქიმია, არაფერი რომ ვთქვათ ასტრონომიასა და მედიცინაზე. ევროპე-ლები ჯერ კიდევ ტლახეი რომაული ციფრებით ძლივს ახერხებდნენ ოთხი არითმეტიკული მოქმედების შესრულებას, არაბები უკვე თავი-სუფლად ხსნიდნენ სამკუთხედებს და დიდი სიზუსტით გამოითვალეს წრეწირის სიგრძის შეფარდება მის დიამეტრთან. შეიძლება ითქვას, რომ VII-XII საუკუნეებს შორის პერიოდი საკაცობრიო მეცნიერების ისტორიაში ყველაზე ნათელი და უდიდესი მოწაპოვრებით აღსავსე ხანაა.

პირველი ათასწლეულის ბოლოს ერთი ფრანკი ბერი, **ჰერბერტ ორილიაკელი** ესპანეთში გაემგზავრა. იქ მან აღმოაჩინა ციფრები, რომელსაც, მიუხედავად მათი ინდური წარმოშობისა, მთელი მსოფ-ლიო სამართლიანად უწოდებს არაბულს. ევროპელთა ბედად 999 წელს ჰერბერტი რომის პაპად აირჩიეს, **სილვესტრ II** უწოდეს და ამის წყალობით მას საკმაო ავტორიტეტი აღმოაჩნდა თავისი აღმოჩენის ევროპული ანგარიშის ტრადიციაში დასაწერგავად. აბდ-არ-რაჰმანს რომ მოეგო შუატიესთან ბრძოლა, ევროპა 267 წლით ადრე ეზიარებო-და არაბულ ციფრებს. შეიძლება კიდევ მრავალი კულტურული მიღწე-ვის ჩამოთვლა, რომელთა დაუფლება ევროპელებმა მხოლოდ ჯვარო-სნული ომების შედეგად შეძლეს.

უფრო ფართო ისტორიულ პერსპექტივაში ევროპა ალბათ მკაცრი რელიგიური წესრიგის პირობებში დაიწყებდა ცხოვრებას და გადაურ-ჩებოდა სისხლისმღვრელ ომებს, ინკვიზიციის მრისხანებას, პორტეს-ტანტთა სასონარმკვეთ შურიტანიზმს და ვინ იცის კიდევ რას...

მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ ოცენაა და მკითხობაა. ჭეშმარი-ტება მხოლოდ ერთია: ისტორიის ასპარეზზე ერთმანეთთან დაპირის-პირებულ ამ ორ ძალას შორის უფრო "პროგრესულის" ან "მართლის" ძიება სრულიად უსაფუძვლო და უსარგებლო მომავა. ისტორიას ქმნიან ადამიანები, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში ვერ აცნობიე-რებენ ვერც საკუთარ როლს და ვერც იმ მომავლის მნიშვნელობას, რომლის ბედი მათი ხელით წყდება.



კორდობას მეჩეთის ინტერიერი

# ტამპლიერითა ტრაპედიია IV

მამ ასე, ინკვიზიციის მიერ ჩა-ტარებული ხანგრძლივი გამოძიებ-ის შედეგად ტაძრის რაინდები ამ-ხილეს მწვალებლობაში. თუმცა ეს საკმაოდ უცნაური მწვალებლობა იყო და მისი არსის გაგებისათვის რამდენიმე სულიერი საწყისის გან-ხილვაა საჭირო. ამ კულტურული საფუძვლების ანალიზიც არ მოგე-ცემს იმის გარანტიას, რომ ჩვენი კვლევა წარმატებით დასრულდე-ბა...

#### იდუმალი ცოდნა

უპირველეს ყოვლისა, თავიდა-ნეე უნდა გამოვრიცხოთ ალქიმია, ებრაული კაბალა და სხვადასხვა ოკულტური პრაქტიკები. ყოველი-ვე ამის არავითარი კვალი არ მოი-პოვება ტამპლიერთა მეგვიდერო-ბაში. საზოგადოება აღშფოთებუ-ლი იყო რაინდთა ორდენის აღურა-ცხელი სიმდიდრით, ამიტომაც გა-ვრცელდა აზრი, თითქოს ტამპლი-ერებმა ოქროს ხელოვნური წარმო-ების რეცეპტს მიაკვლიეს. სინამდ-ვილეში საზოგადოებას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა საბანკო ოპერაციათა ბუნებაზე და მათ ეკ-ონომიურ ეფექტზე. ტამპლიერთა ერთადერთი "რეცეპტი" კაპიტალ-ის ჭკვიანური დაბანდება და მისი ბუნებრივი წესით გამრავლება იყო.

მეორე მხრივ, ორდენის მაგის-ტრებს რომც ეძევნათ ფილოსოფი-ური ქება, მარადიული სიჭაბუკის ელიტისრი ან სხვა მსგავსი სისუ-ლელე, ეს მაინც ვერ ახსნდა, რატ-ომ აიძულებდნენ ისინი ორდენში შემოსულ წევრებს ქრისტეს უარ-ყოფას.

ხშირად ტამპლიერთა არქიტექ-ტურაშიც ეძებდნენ რაღაც იდუმა-ლი ცოდნის თუ აკრძალული კულ-ტების კვალს, მაგრამ 1955 წელს არქიტექტორმა **ელი დამბერტა** დამაჯერებლად აჩვენა, რომ ეს თვალსაზრისები უსაფუძვლოა. გულუბრყვილობაა ვიფიქროთ, რომ, მაგალითად, იზიდას კულტი, რომელიც იმპერატორმა **თიოდოს-ემ** 392 წელს აკრძალა, ათასი წლის შემდეგაც ცოცხალი იქნებოდა.

#### კათართა ერესი

ბევრი დისკრტაცია დაცულა იმის გარშემო, რომ თითქოს ტამპ-ლიერთა რიტუალი დაკავშირებულია სამხრეთ საფრანგეთში გავრ-ცელებულ ალბიგოურ ანუ კათარ-თა ერესთან. ეს ვერსია ორ ძირით-ად ნიშანს ყვრნობს:

1. წირვისას იმ სიტყვების გამო-ტოვება, რომელიც ქრისტეს ხორცს ეხება. მაგრამ თვით პრო-ცესზე დამტკიცად, რომ ამგვარი პრაქტიკა დიდი იმპიათობა იყო.

2. ჯვრის უარყოფა უნდა ეთან-ხმებოდეს კათართა რწმენას, რომ ღმერთი არ შეიძლებაა, მოქვე-დარიყო მსგავსება მართლაც შეი-ნიშნება, მაგრამ არსად არ ჩანს, რომ კათარები ჯვარზე დაფურ-თხებას მოითხოვდნენ. სინამდვი-ლეში კათარები იყოს ქრისტეში-ღმერთს აღიარებდნენ და მის გან-ცაცებას უარყოფდნენ; ტამპლიე-რები კი ქრისტეში გრძობდნენ უფ-ალს და არა ადამიანს. ასე რომ ტა-მპლიერთა და კათართა მრწამსი ერთმანეთს გამოირცხავდა.

და მაინც, ტამპლიერთა და კა-თართა შეუსაბამობის მთავარი არ-გუმენტი შემდეგია: კათართა ერე-სი სამხრეთ საფრანგეთში უკვე დიდი ხანია არსებობდა. არსად არ შეინიშნება, რომ ტამპლიერთა ორ-დენი ან ცხადად ან შენიღბულად კათართა მხარეზე გაემოკლეყოს რელიგიურ ომებში. ზოგი მკვლეო-რი ამბობდა, რომ კათართა და ტამ-პლიერთა საერთო ნიშანი ქალეთი-ან სქესობრივი კავშირისგან თავის არიდებაა. მაგრამ ამ შემთხვევაში კათართა ერესში ყველა რელიგი-ურ ორდენს უნდა დაედოთ ბრალი!

და ბოლოს, თუ კათართა საზო-გადოებაში შეხვედი, ერთ აუცილე-ბლობას ვერ აარღებდ თავს: სიკე-დლოს წინ უნდა მიიღო მათი უმ-თავრესი საიდუმლოება, ეგრეთ წოდებული **consolamentum** ანუ ნუგუმისცემა. ამის გარეშე კი კა-თარად ვერ ჩაითვლები და ვერც ცხოვნებას ედრისდი. არ არსებ-ობს არც ერთი საბუთი, რომ ტამპ-ლიერთა რიგებში ეს რიტუალი ოდ-ესმე შესრულებულიყო. ეს საკითხი არც ინკვიზიტორებს დაუყენებია-თ.

#### გნოსტიციზმი

მოძღვრებათა ეს უცნაური თა-იგული, რომელიც რელიგიის ის-ტორიაში გნოსტიციზმის სახელით შევიდა, ქრისტიანობის პირველ სა-უკუნეებში წარმოიშვა ნეობლატო-ნური ფილოსოფიის გავლენით. სხვადასხვა ჯურის გნოსტიკოსები საკმაოდ განსხვავდებოდნენ ერთ-მანეთისაგან, მაგრამ ერთი რამ კი ჰქონდათ საერთო: გნოსტიკური სექტები რაღაც იდუმალი ჭეშმა-რიტების ცოდნაზე აცხადებდნენ პრეტენზიას და ალეგორიულად განმარტავდნენ საღვთო წერილს.

ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ გნოსტიკური თხზულებებით



ტამპლიერები კოკონზე

მოხიბლული **დანტე ალიგიერი** იდ-უმალად შევიდა ტაძრის ორდენში, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა კათოლიკურ სა-რწმუნოებას. ეს ვარაუდი ზედმეტ-ად გაბედულია: ტამპლიერებს არა-ფერი ჰქონდათ საერთო არც ერუ-დიტ პოეტთან და არც ხელო ოცნე-ბებში ჩაფლულ გნოსტიკოსებთან.

#### ისლამი

აღმოსავლეთში დიდი ხნის გან-მავლობაში მცხოვრებ ტამპლიერ-ებს ხშირად აბრალებდნენ ისლამ-თან იდუმალ კავშირს. ეს გასაგებია-ცაა. იერუსალიმის ჯვაროსანი მე-ფის, **ბალდუინ I-ის** კაპელანი **ფუ-ლხერიუს შარტრელი** წერდა: "დასავლეთის მეკიდრნი აღმო-სავლეთის მცხოვრებლებად ვიქე-ცით. გუშინდელი ფრანკი და იტალიელი დღეს უკვე გალი-ილეული ან პალესტინელია... ჩვენ დაგვაიწუნდა დაბადების ადგილი... ზოგმა სახლი იშენა, ზოგმა სირიელი ან სომეხი ცოლი შეირთა, აქაური ენაც ვისწავლეთ... რატომღა დაებრუნდეთ დასა-ვლეთში, თუ აქ ყველა ჩვენი სურვილი სრულდება?".

აღმოსავლეთში დიდი ხნის ცხოვრების შემდეგ ტამპლიერე-ბი ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანი არსებობის მომხრენი იყვნენ. ამგვარი პოზიცია ხშირად არ ესმოდათ ევროპიდან ახალწა-მოსულ ჯვაროსნებს. მაგრამ შეიძ-ლება კი ამ ბუნებრივ პროცესში ის-ლამის იდუმალი გავლენა დაეინახ-თ?

ინკვიზიციის პროცესზე ისლა-მური გავლენის ერთადერთი კვა-ლი იქნა განხილული: ტამპლიერე-ბი მაცხოვარს წინასწარმეტყველ-ად მოიხსენიებდნენ. როგორც ცნობილია, სწორედ ასე განხილა-რვენ იესო ქრისტეს მუსლიმანებიც. მაგრამ არსად არ ჩანს რაიმე რი-ტუალურ ეკალი, რომელშიც ამკა-რა გახდებოდა ისლამის სიღრმისე-ული გავლენა. ზოგმა მკვლევარმა დემონ ზაფომეტის (BAPHOMET) სახელში იოანე ნათლისმცემლისა და მოჰამედის სახელსა დაერთი-ანება დაინახა: Jean-BAPTISTE + MaHOMET. მაგრამ ასეთი პოითე-ზა ნამდვილად თითოიდანაა გამო-ნოვილი. მით უმეტეს, რომ ზაფო-მეტი, საგვარუდოდ, გამოსახუე-ბა იყო და არა აბსტრაქტული ცნე-ბა.

ასევე ხშირად გამოითქმებოდა ვარაუდი, თითქოს ტამპლიერები დაკავშირებულნი ყოფილიყვნენ ასასინთა საიდუმლო სექტასთან. ამ ისლამური სექტის შესახებ ევ-როპამ **მარკო პოლოს** წიგნიდან შეიტყო იმ დროს, როცა ასასინები უკვე აღარ არსებობდნენ. მართა-ლად, სირიის დაპყრობის შემდეგ ასასინები მართლაც დაუკავშირდ-ნენ ტამპლიერებს, ისევე როგორც ყველა ქრისტიან ხელისუფლებას, მაგრამ ეს უბრალოდ დიპლომატი-ური ტაქტიკა იყო. ჯვაროსნები ბუნებრივად იყენებდნენ თავიანთ სასარგებლოდ ისლამის წიაღში არსებულ წინააღმდეგობებს. და თუმცა ტამპლიერები ასასინთა მსგავსად თეთრი მოსასხმას ატარე-ბდნენ, არავის გაუფიქრა მათ მიერ პაპიშის ბოროტად გამოყენების ან ხანჯლით ჩადენილი ფანატიკური მკვლელობების ამბავი.

#### ადამიანთა საყოველთაო ძმობა

XVIII საუკუნეში ფრანკმასონე-ბმა ადამიანთა საყოველთაო ძმო-ბისა და ურთიერთშემწყნარებლო-ბის იდეა განავითარეს. რა თქმა უნდა, მათ აუცილებლად სჭირდ-ებოდათ ამ იდეის ტრადიციად გა-მოცხადება და მისი წანამძღვრე-ბის მოძიება. ტამპლიერთა ისტორი-ის თეთრი ლაქები ამის შესანიშნე-საბაბს იძლეოდა. ტაძრის რაინდე-

ეგრეთ წოდებული "სინარქიის" ანუ ერთობლივი ძალაუფლების დაარსება იყო. აღმოსავლეთში ამ ახალი წესრიგის გამტარებელ მო-კავშირედ ასასინთა სექტა მიჩნდ-ათ. მაგრამ ასასინები 1265 წელს გაქრნენ და მეგვიდრე და დაუტო-ვებიათ. გაუგებარია, საკომუნიკა-ციო სისტემის იმდროინდელი დონ-ის პირობებში, როგორ უნდა ემოქ-მედა ასეთ "მსოფლიო ბატონობ-ას".

ზოგი მკვლევარი ამტკიცებდა, რომ ტამპლიერების პოლიტიკური ამბიციები მხოლოდ ქრისტიანული სამყაროთი შემოიფარგლებოდა. თუ ეს მართლაც ასეა, რას უნდა ემსახურებოდეს ქრისტეს უარყო-ფის რიტუალი? ვარაუდობდნენ, რომ ინკვიზიტორებმა აღმოაჩინეს ტაძრის რაინდთა იდუმალი ზრახ-ვები და ქრისტეს უარყოფა იმისთ-ვის დააბრალეს, რომ ეს ზრახვები არ გაემჟღავნებინათ. ამგვარად პროცესი კომედიად იქცეოდა. მაგ-რამ ასეთი დასკვის საშუალებას არ იძლევა პროცესის ოქმები: დაუჯე-რებელია, რომ იმდროინდელი მო-სამართლეები ასეთ ღონეზე ფლო-ბდნენ მხოლოდ ჩვენს დროში შე-მუშავებულ დისკურსისა და კომუ-ნიკაციის თეორიებს. ასეთი ხანგრ-ძლივი და მრავალმხრივი პროცეს-ის გათამაშება დღესაც კი გაჭირ-დებოდა, მაშინ კი ამის გაკეთება აუცილებელიც არ იყო მედიის მხრიდან კონტროლის და თვით მე-დიის აპარსტობის გამო.


კიდევ ერთი ვარაუდი, რომელ-იც მსოფლიო ბატონობის გეგმას იცავს და თითქოს ხნის პროცესზე მისი არგანხილვის ფაქტს, შემდე-გია: ტაძრის ორდენში არსებობდა ეგრეთ წოდებული პარალელური იერარქია. იგულისხმება, რომ ორ-დენის "ხილავი" მეთაურები არა-ვითარნი რეალური ძალაუფლებით არ სარგებლობენ, ორდენს კი სინა-მდვილეში სულ სხვა, ჩრდილო-მყოფი ადამიანები მართავენ საი-დუმლო წესდების თანახმად. საი-დუმლოებთა მოყვარულნი ერთ-ერთ პარალელურ მაგისტრად ვინ-მე **რონსელენს** ასახელებენ. მართ-ლაც, 1281 წელს, მაგისტრ **გიომ დე ბოუეს** დროს ორდენში მიიღეს პროვანსელი რაინდი რონსელენ დიუ ფო. ეს კაცი შემდეგ არასოდეს დანიშნურებულა იერარქულ კი-ბეზე. მაგრამ ინგლისში ჩატარებუ-ლი ინკვიზიციური გამოძიების შე-დეგად სამმა ტამპლიერმა აღიარა, რომ ორდენში მიღების ორი წესი არსებობდა: ერთი საჯარო და სა-ყოველთაო, მეორე კი საიდუმლო, რომელსაც მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ უტარებდნენ განსა-კუთრებით გამორჩეულ წევრებს. ასევე საფრანგეთში ჩატარებული პროცესის ერთ-ერთი ბრალდებუ-ლი, **ჟერეკ დე ბოუე** ამტკიცებდა, რომ მაგისტრს ჰქონდა ერთი წეს-დება, რომელსაც ყველას აჩვენებ-და, მაგრამ ჰქონდა კიდევ ერთი ნი-გნავი, სადაც არავის ჩაახდენია, მთელი მსოფლიოს ოქრის საფასუ-რადაც კი. ამ ცნობებს ძნელად თუ უწოდებ ზუსტ ინფორმაციას.

მაგრამ 1877 წელს აღმოჩნდა მაგისტრ რონსელენის საიდუმლო წესდება! ამბობდნენ, რომ 1780 წელს ის კოპენჰაგენის ეპისკოპო-სმა მოიპარა ვატიკანის არქივები-დან. ეპისკოპოსისათვის ეს, ცოტა არ იყოს, უცნაური საქციელია, მა-გრამ ხომ უნდა აეხსნათ, რატომ არ ყოფილა ეს დოკუმენტი არქივში მაშინ, როცა **ნაპოლეონ ბონაპარ-ტმა** მისი დაცარიელება ბრძანა. მიუხედავად დოკუმენტის ხმაი-ნალი სათაურისა — *წიგნი ცეცხლით ნათლობისა და იდუმალი წესდების შესახებ, შედგენილი მაგისტრ რონსელენის მიერ* — ამ დოკუმენტში მხოლოდ საიდუმლოს გამჟღავნების წინაა-ღმდეგ ახაზდენიმე ბანალურ გაფრ-თხილებას ვპოულობთ. მაგრამ ყუ-რადლებას ინვესტ შემდეგი გან-ცხადება: "ღმერთი არ განასხვავ-ებს ადამიანებში ქრისტიანებს, სა-ერკიოზებს, ებრაელებს, ბერძნ-ებს, ფრანკებს, რომაელებსა და ბულგარელებს, რადგან ყველა, ვინც ლოცულობს, ცხოვრულია". ასეთი განცხადებით ტამპლიერე-ბმა ხუთასი წლით გაუსწრეს საკუ-თარ დროს. ეს ნამდვილად დაუჯე-რებელია. უცნაურად ნაპოვნი დო-კუმენტი, როგორც ეტყობა, მასო-ნების დანერგულია მოგვიანებით. ეს წიგნი არასოდეს ყოფილა სპეციფ-იური შემონმების საგანი, რადგან ასევე მოულოდნელად გაქრა.

ერთადერთი, რაც ეჭვს არ ინე-ვეს ტამპლიერთა საქმეში — ეს ერ-ესის არსებობაა. თვით მწვალებ-ლობის შინაარსი ეკლევართა ანა-ლოზს გაუჩინა მაგისტრ რონსელენის ნაკუ-ლებობის გამო. შესაძლებელია, ის-ტორიკოსები ვერასოდეს იპოვიან ამ კითხვაზე დამაკმაყოფილებელ და ამომწურავ პასუხს. მაგრამ ამგ-ვარი აღიარება გაცილებით უფრო ვატიკერულია, ვიდრე ათასგვარი ზღაპრის თხზვა ტამპლიერთა სა-ყოველთაო შეთქმულების შესახებ.

***ნოღარ ლადარია ლიელა გეზარაშვილი***

# აქრძალული ლიტერატურა



## გამაკა ქირია

დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნეტით საჭირო ინფორმაციის მოპოვებას. ასეთი სახის ლიტერატურა უმეტეს შემთხვევაში უფასოა და დიდ ბიზნესთან არ არის დაკავშირებული. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად, ვითარდება ინტერნეტ გამოცემები და სხვადასხვა სასწავლო-შემეცნიებითი ინფორმაციით სარგებლობა. უკანასკნელი სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ინტერნეტის განვითარებასთან შედარებით ელექტრონული ინფორმაციის გაყიდვა უფრო სწრაფად ვითარდება. თუ მაგალითად, ამერიკაში ინტერნეტის ზრდა 8,3 პროცენტს შეადგენს, ელექტრონული ინფორმაციის გაყიდვა გაიზარდა 24,6 პროცენტით. აქედან მყიდველების 42 პროცენტი ინფორმაციას იმ შემთხვევაში ყიდულობს, თუ სხვაგან მსგავსი ინფორმაცია მასალაზე ექსკლუზივის გამო ვერ იპოვეს. 39 პროცენტი საკუთარი ცნობისმოყვარეობის მსხვერპლია და 5 პროცენტი კი – ინტერნეტს აფასებს, როგორც საინტერესო ინფორმაციის მოპოვების ხელსაწყო. ეს სტატისტიკა მიუთითებს, რომ უფასო ელექტრონული ლიტერატურის განთავსება საავტორო უფლებების დარღვევასთან ერთად აუფასურებს ინტერნეტს და გზას უღობავს ელექტრონული ლიტერატურის მომწოდებელ კომპანიებს იარსებონ და განვითარდნენ კონკურენტულ გარემოში. სხვადასხვა კომპანიები

ფიქრობენ, რომ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი და მკაცრად იქნას დაცული საავტორო უფლება ამა თუ იმ ინფორმაციის ინტერნეტში განთავსებაზე. არ შეიძლება ერთი და იგივე ინფორმაცია ინტერნეტში ფასიანიც იყოს და უფასოც.

რამდენიმე კომპანია უკვე იბრძვის ამ ბიზნესისთვის. ისინი ცდილობენ ინფორმაციის მოწოდებაზე გარკვეული ბიზნესი ააწყონ (მათ შორის, ონლაინ-ნიგენტზეც). ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა VIP.KM.RU, რომელმაც უკვე წარადგინა თავისი პროექტი, რომლის მიხედვითაც კომპანია შემოგვთავაზებს მუსიკას, თამაშებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებს, სასწავლო კურსებს, ენციკლოპედიას და ა.შ. რა თქმა უნდა, წინასწარ ფასებიც დადგენილია და ინფორმაცია სარჩევის სახით არის წარმოდგენილი.

მალე ზემდინიშნული კომპანია მომხმარებლისთვის ელექტრონული ნივთების გაყიდვის ახალ სერვისსაც შესთავაზებს, რომელიც საკმაოდ ფართო სპექტრს მოიცავს. ის გვთავაზობს მხატვრული, სასწავლო, საინფორმაციო ხასიათის და სხვა სახის მთელ ოკეანეს. ნივთების გადმოწერა არქივის სახით პერსონალური კომპიუტერებისთვის lit ფორმატში იქნება შესაძლებელი. ერთი ნივთის საორიენტაციო ფასი მერყეობს 0,3-დან ერთ დოლარამდე. სწორედ ამ კომპანიის ინიციატივით გამწვავდა ასე საკითხი საავტორო უფლებებზე. კომპანიას რა თქმა უნდა სურს სამომავლოდ მყარად დამკვიდროს ადგილი ამ ბიზნესში.

# გამოსათხოვარი ხესანიონაზ ხესნიარს და უღალატო მრჩეველს

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა რიგებს გამოაკლდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების წამყვანი მეცნიერი შოთა ნოეს ძე ვაშაყმაძე.

შოთა ვაშაყმაძე დაიბადა 1919 წელს. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ფრონტზე გაემგზავრა. ომის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და სწავლა კვლავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო.

1950 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში მოღვაწეობდა. წლების მანძილზე იგი იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების გამგე, სიცოცხლის ბოლომდე კი ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომელი.

მისი მოწოდება რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ქართულ სამეცნიერო ცხოვრებაში.

ბატონი შოთა ვაშაყმაძე ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორის, "მარი ბროსესა და რაფიელ ერისთავის მიმოწერა", "საქართველოს მოამბე" და გიორგი წერეთელი", "გიორგი წერეთელი და ჟურნალი "კვალი", "ქართველი სამოციანელები და ხალხისწიგნის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა", "ნიკო ნიკოლაძე "დროების" კრიტიკოსი", "ანტონ ფურცელაძის პროზა", "ეროვნული და სოციალური ბრძოლის ასახვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში", "აკაკი წერეთლის პოლიტიკური ლირიკა", "ნიკოლოზ ბარათაშვილის პირველი კრიტიკოსები", "ქართული სახელმწიფოებრიობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკაში", "იოსებ დავითაშვილი", "აკაკი წერეთელი" და სხვა...

ეს მოწოდებები და წერილები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მრავალ პრობლემას მოიცავს და ფართოდ არის ცნობილი, როგორც ლიტერატურის სპეციალისტებისთვის, ასევე ქართული მწერლობის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისთვისაც. ბატონი შოთა ვაშაყმაძე თანაავტორია ქართული ლიტერატურის ექსტრემულ



ულისა, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა და რომელიც დღემდე რჩება ყველაზე სოლიდურ კოლექტიურ ნაშრომად მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის შესახებ. შოთა ვაშაყმაძის სამეცნიერო შრომები შესულია, აგრეთვე, "ახალი ქართული ლიტერატურის საკითხების" შედგენილებაში და ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულებში: "ნარკვევები მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან", "ლიტერატურული ძიებანი", "კრიტიკიუმი".

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ხშირად მეცნიერებისათვის მეტად არახელსაყრელ პირობებში, ბატონი შოთა თავდადებათი მუშაობდა ეროვნული ცნობიერების პრობლემებზე ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში.

მისი უკანასკნელი ნაშრომი "სახელმწიფოებრივი იდეალები აკაკი წერეთლის შემოქმედებაში" გამოქვეყნდა ლიტერატურის ინსტიტუტის სულ ახლახან დასტამბულ

კრებულში "ლიტერატურული ძიებანი".

შოთა ვაშაყმაძის პირად არქივში დაცულია მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა. კორნელი კეკელიძის, აკაკი განთელიას, ბესარიონ ჟღენტის წერილები, გიორგი ლეონიძის გამოუქვეყნებელი ლექსები.

შოთა ვაშაყმაძის მონოგრაფიები და სამეცნიერო წერილები ნათლად ავლენენ ამ შესანიშნავი მეცნიერის თვალსაწიერს, მის პროფესიონალიზმსა და ლიტერატურულ გემოვნებას.

ლიტერატურის ინსტიტუტი გულისტკივილით ემშვიდობება ღირსეულ პიროვნებას, გულისხმიერ ადამიანს, უღალატო მრჩეველსა და შესანიშნავ მეცნიერს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილება

## TV პროგრამა

28 აპრილი



რუსთავი - 2

07.30 დღლა მშვიდობისა 08.00 "ტელეშოუები" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ღამის შოუ დ. გოგიაშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "მამულები" 18.20 "ტელეშოუები" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპანოს კლანი" 23.00 ღამის კურიერი 23.50 მხ. ფილმი "ტელმა და ლუჩა". მთ. რ-ში: სოუზან სარანდონი, ჯინა დევისი.



პირველი არხი

07.30 ალიონი 09.45 მხ. ფილმი 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლდადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 ქართული ენის გაკვეთილი 14.30 დოკ. სერიალი "საგნების ისტორია" 14.40 თქვენი უფლებები 15.15 მხ. ფილმი "ფორსაიტების საგა" 5-6ს. 16.35 დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილი" 17.20 საქართველო, დრო, მოვლენები 18.00 ევსტინი 18.20 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 18.30 სერიალი "წერილვარსკვლავთა ღამე" 19.00 ენერგია 19.25 ტელეთამაში "იმღერე რამე" 21.05 ბასტი-ბუბუ 21.20 სერიალი "სოლდადი" 22.10 მათი შვილები 23.30 მხ. ფილმი "ყველფრის ფასად"



პირველი სტამბო

07.20 პოპ. ად. ათეული 08.00 ტორიდა 11.00 ქართული მუსიკა 13.00 ინფორმაციური 13.30 მუსათაული 14.10 მუსიკა 16.00 ფილმი "საუკეთესო ორი წელი". მთ. რ-ში: კირიტი შეიბორნი, დევიდ ნილზი. 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმაციური 19.30, 20.15 ვიდეორადიო 21.15 ქართ. მუსათაული 22.35 აპარატი 23.00 პოპ. ად. ათეული 02.00 "ბრაი" "ნაძირალას ცოლი" მთ.რ-ში ტატუ ო-ნილი, ჯულიან სენდისი. 03.00 პაუზის გარეშე

## მხი

09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთავარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საიფ. გამოშვება "შეზარა" 11.10 დღის კინორარბაზი 18.30 მულტსერიალი "რედვალ" 19.00 სერიალი "ველური მთავარე" 20.00 საიფ. გამოშვება "შეზარა" 21.00 მხ. ფილმი "მგზავრობა" (გრეტ ტილორი) 22.45 არჩევანის ზღვარზე 23.45 მხ. ფილმი "ტაში ალტი" (ოლენ რეკუნი)



მეორე არხი

19.00 მულტფილმი 19.30 კინოსენსი "ზეზი აგრეიკე-ლა ბიპა" 15-16ს. 21.00 და არს მუსიკა 21.30 ჩვენი მისამართი 22.00 მხ. ფილმი "უსაფრთხოების ზომები"



კავკასია

12.00 მხ. ფილმი "როგორ გახდეს პრინცესა" 14.00 მხ. ფილმი "ლამაზი ჯოჯი" 15.30 მხ. ფილმი "დოკ ტრისი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მულტფილმი "დინოზავრი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "გატაცება 60 წამში" 00.30 მეუსიკა



იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრინია 07.15, 13.15, 16.35, 17.20, 01.25 იმელის მელოდიები 07.30 "იმელის" დღლა 10.05 სერიალი "მცეპები" 11.05 სპ. პროგრამა "გოლი სერია" 12.10 სერიალი "კლინი" 13.25, 00.55 ტე-მარკეტი 14.05 სერიალი "გაზაფხულის 17 გაღებვა" 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 00.40 ქრინია 17.25 ანიმაციური ფილმი: "სანდოკი, მალაიზიის ვეფხე" 18.05 სერიალი "ტყულები" 19.35 სერიალი "კლინი" 20.30 ქართ. სერიალი "ცხელი ძაღლი-1" 1-ლი ს. 21.30 "პირველი ნახეარი" 23.00 არტ-ბულვარი 23.30 მხ. ფილმი "გაზაფხულის 17 გაღებვა" მე-2 ს.



არხი


09.00 საინფორმაციო დიოვსტი 09.30 კომედია "რა სურთ ქალებს" 11.30 მუსიკა 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00 საიფ. გამ. "დღეს" 12.10, 16.10, 18.10, 22.30, 00.20 საიფ. გამოშვება "ნოვოსტი" 12.20 მხ. ფილმი "დამარცხებელი" 13.50, 15.50, 17.50, 19.55, 03.10 მუსიკა 14.10 თირილი "ერთხელ მიღწედა" 16.20 მულტფილმი 18.20 კომედია "არლეტი" 20.35 მხ. ფილმი "ზვიგენები" 23.00 საიფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე 00.40 საიფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე 01.00 მხ. ფილმი "ვარსკვლავური იმები" მე-3 ს. 03.30 მხ. ფილმი "დამიანი რკინის ნიღბით"

## OPT

07.00 "Доброе утро" 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости 10.20, 22.30 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20 МультСериал "Кошки-мышки" 12.40 Дисней-клуб: "Мышиный дом" 13.20 Худ.фильм "Генерал" 15.10 Город женщин 16.20 Сериал "Берег мечты" 17.20 "Грядет мелодия" 17.50 "Большая стирка" 19.20 "Другие миры Донатаса Банюниса" 20.50 "Стирка на миллион" 21.00 Сериал "Евфимия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00 Время 23.35 Футбол. Товарищеский матч. Сб. Норвегия - сб. России. В перерыве в - Ночное "Время" 01.30 "Фабрика звезд" 01.50 "Голливудские преступления". Часть 3 02.20 Худ.фильм "Вызов" 04.30 Сериал "Мертвая зона"

## НТВ

07.00 Утро на НТВ 09.45 Сериал "Пятый ангел" 11.00 Сегодня утром 11.25 Кулинарный поединок 12.20 Ток-шоу "Страна советов" 13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.05 "Сегодня" 13.30 Худ.фильм "Застава Ильича". 1 с. 15.35 Протокол 16.35 Ток-шоу "Почини домик" 18.30 Сериал "Дальнобойщики" 19.35 Протокол 20.40 Сериал "Адвокат". 3 с. 21.45 Сериал "Пятый ангел". 15 с. 23.00 "Страна и мир" 23.35 Красная стрела 23.45 Сериал "Детектив Раш" 00.55 Сериал "Адвокат"



## არსებობს თუ არა სიყვარულის ფორმულა?

რა არის სიყვარული? შესაძლებელია კი ამ გრძნობის ჩასახვა ერთი ნახვით? რატომ არის, რომ ზოგს უმართლებს, ერთხელ ხედებიან და უყვარდებიან, ამაზე კი არასოდეს ნანობენ? რატომ არის, რომ ზოგი ფიზიკური სიახლოვის შემდეგ მალევე ივინყებს პირველს და გძნობები სადღაც ქრება, ამასთან ახალ სატრფოს მალევე პოულობს? საერთოდ არსებობს კი ეს სიყვარული? პოეტები, მწერლები, ფილოსოფოსები კიდევ დიდი ხანი იარსებებს. ამ დროს მეცნიერებს საკუთარი, საკმაოდ მყარი ჩამოყალიბებული აზრები და ამ გრძნობის ზუსტი განსაზღვრებაც აქვთ. მათ, ასე ვთქვათ ყველა ინდივიდისთვის “უნივერსალური ფორმულა” გამოიყვანეს.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა ჰელენ ფიშერმა გამოიკვლია ადამიანის ტვინი “განცდის” მომენტში. დაკვირვება არ ჩაუტარებია ფიზიკური კონტაქტის დროს, მხოლოდ შეყვარებულობის დროს. საუბარია დროში დიდი ხნით განელილ ურთიერთობაზე.

ისმის კითხვა, რა შუაშია აქ ტვინი? ჩვენ ხომ მივეჩვიეთ ფიქრს და საუბარს იმაზე, თუ რას ამბობს გული, სული და კიდევ თუ რამ არსებობს ადამიანის, ასე ვთქვათ “შეგრძნობები”. მაგრამ, მეცნიერები თვლიან, რომ ტვინია თავი და თავი, რომ შეყვარებულობის პერიოდში ადამიანის ორგანიზმში სხვადასხვა ცნობილი სახის ქიმიური რეაქციები და “გამოსხივება” მიმდინარეობს, რომელსაც ამტკიცებს თანამედროვე სკანირების მეთოდები. სწორედ ეს პროცესები აქტიურებენ ჩვენს ტვინს იმ მომენტში, როცა ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ წინ, უჩვეულოდ მომზერდით თვალზე, ან კიდევ ყურადღებას იქცევს უჩვეულო სიცილი, ქცევა, მანერები და სხვა. ამ დროს ჩვენი ორგანიზმი თამაშობს გადამწყვეტ როლს. ეს ფაქტი მეცნიერულად დამტკიცებულია და მას ვერაფერს ვერ გაექცევა. ჩვენს თვალს და გონებას მომხდარი ან მალე ავიწყდება, ან კიდევ წლობით შეიძლება გვესიზმროს, ან, უბრალოდ, ტვინს ახსოვდეს თავისივე აქტიურობის შედეგი. ამერიკელი მეკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სიყვარულს აქვს სამი სტადია: 1. ძლი-



ერი, დაუოკებელი სურვილით გამონეწული, რომელიც სქესობრივი კავშირის შემდეგ მომდევნო ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებამდე ცხრება და მანამ არსებობს, სანამ არ დაბალანდება ჰორმონალური ფონი; 2. განცდების აღმავლობის ეტაპი, ანუ გაცილებით სერიოზული სიყვარული; 3. ურთიერთდაკავშირებული – ძლიერი, იდეალურამდე მიახლოებული სიყვარული.

პირველი სტადია შეიძლება თინეიჯერების და იმ ადამიანების ხვედრი იყოს, ვინც ვერ აცნობიერებს საკუთარ მდგომარეობას და ჯერ ვერ პოულობს მუდმივ პარტნიორს, გამოცდილების უქონლობის გამო ვერ ერკვევა რომანტიკულ სილამაზეში და ჟინის მოკვლით შემოიფარგლება. არსებობს მოსაზრება, რომ პირველ სტადიაზე ერთ პარტნიორთან დიდი ხნის მაძილებ ყოფნის შედეგად, როცა ორივე ერთმანეთით კმაყოფილია, შეიძლება განვითარდეს მეორე სტადია, რომელიც ძლიერ განცდებს წარმოქმნის და გაცილებით უფრო მტკიცეა. ის შეიძლება დაახლოებით ერთ წლამდე გაგრძელდეს. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ ასაკზე და ფსიქოლოგიაზე.

რაც შეეხება მეორე, განცდების აღმავლობის სტადიას, აქ საქმე გვაქვს ტვინის სერიოზულ გამოვლინებებთან, კერძოდ ის, რომ სხვა ადამიანი ვერა და ვერ ტოვებს ჩვენს მესხიერებას, ეს ხდება დღისით და ღამით, მასზე ფიქრს ვერანაირად ვერ ვაღწევთ თავს, საყვარელ ადამიანზე მხოლოდ დადებითზე ვამახვილებთ ყურადღებას, შეიძლება უარყოფითი ცნობილია, მაგრამ, მას ყურადღებას არ ვაქცევთ. ასეთი ეფორიის სახის გრძნობა ახასიათებთ 25 წლამდე ასაკის ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ ერთმანეთის გარეშე ვერ იარსებებენ და დროა ერთად ცხოვრება გადამწყვეტონ. შეიძლება ხშირად შეცდნენ და საყვარელ ადამიანს სულ ტყუილად შესთავაზონ ასეთი წინადადება. ეიფორიის დროს საქმე გვაქვს ძლიერ ქიმიურ რეაქციებთან: დოპამინი, როგორც ბედნიერების გრძნობის “გარანტი”, დიდი რაოდენობითაა ორგანიზმში, ფემეითილამინი, რომელიც ალგზნებას აძლიერებს, ნორადრენალინი კი – ყოვლისშემძლეობის სინდრომს განაპირობებს. სწორედ ამ პროცესებს აქვს ადგილი ადამიანში სიყვარულის მეორე ეტაპზე და შეცდომაც არ არის გამო-რიცხული. შეიძლება ბევრს არ მოეწონოს მეცნიერების მიერ ასეთი დაყოფა იმ წინადადებით, რომ სიყვარული იმდენად მარტივია, რამდენად რთულია. ამერიკელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სიყვარული იმდენად რთულია, რამდენად მარტივია.

რედ ამ პროცესებს აქვს ადგილი ადამიანში სიყვარულის მეორე ეტაპზე და შეცდომაც არ არის გამო-რიცხული. შეიძლება ბევრს არ მოეწონოს მეცნიერების მიერ ასეთი დაყოფა იმ წინადადებით, რომ სიყვარული იმდენად მარტივია, რამდენად რთულია. ამერიკელი ფსიქოლოგები ამტკიცებენ, რომ სიყვარული იმდენად რთულია, რამდენად მარტივია.

რე თვისებები ახასიათებს მესამე, ურთიერთდაკავშირებულ, ძლიერ, იდეალურამდე მიახლოებულ სიყვარულს? სიყვარულის მეორე, ანუ განცდების აღმავლობის და ეიფორიის სტადიის დასკვნით ეტაპად მესამე, ურთიერთდაკავშირებული სტადია შეიძლება ჩაითვალოს. ამ ეტაპზე თვალნათლივ ჩანს, ვცდებოდით თუ არა ეიფორიის სტადიაში. ამერიკელი ფსიქოლოგები ამ სტადიას გულწრფელობის სტადიასაც უწოდებენ.

მესამე სტადიაში პარტნიორები სქესობრივ ცხოვრებას იმდენად აქტიურად აღარ აქცევენ ყურადღებას და მათ შორის იმართება პირისპირ საუბრები, ხშირად ეს საუბრები კონფლიქტითაც მთავრდება, მაგრამ, პირველი და მეორე სტადიისგან განსხვავებით, ყველაფერი გულწრფელია. შეიძლება მამაკაცებს თავში ასეთი აზრაც გაუჩნდეთ: “ნეტავ, რა ვნახე ჩემს პარტნიორში”. ქალმა კი შეიძლება ასე გამოხატოს: “ნეტავ, რას გულისხმობდა დედა, გათხოვებას რომ მიშლიდა”. მაგრამ, ასეთი გამოთქმები უკვე დაგვიანებულია. ცნობილია, რომ ნაპოლეონს ქორწინებაზე სპეციალური კონტროლი ჰქონდა დანესებული. თუ წველი მინიმუმ ნახევარი წელი მაინც არ იცნობდა ერთმანეთს, მათ დაქორწინება ეკრძალებოდათ.

საბოლოოდ, ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: წველის, ასე ვთქვათ, “დაკომპლექტება” ყოველგვარი გაფორმებების გარეშე, თითოეულში წარმოშობილი წინადადება ბიოქიმიური პროცესებით იწყება და როგორც ზემოთ ვთქვით, სხვადასხვა ეტაპს გაივლის. წველი ან დროებითია ან ხანგრძლივი.

მეცნიერების რჩევა კი ასეთია: წველებმა კარგად უნდა გაიცნონ ერთმანეთი და შემდგომ უნდა იქონიონ. სხვაგვარად გულახდილი საუბარი არასოდეს არ შედეგება. შეიძლება ათასგვარ ფარისევლობას ჰქონდეს ადგილი. საუკეთესო შედეგად ითვლება ის შემთხვევა, როცა ქალიც და მამაკაციც ხედებიან, რომ ბედნიერები არიან და მათი ურთიერთდაკავშირება მხოლოდ ბიოქიმიური, როგორც საწყისი პირობის შედეგი, არ არის.

თქვენი რაქონი  
ჩვენი გარემო

20-24-04  
20-00-24

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „შეიქი“  
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თქვენთვის:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება მეთოდით,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: გ.უხანაძის N70  
ტელ: 29-48-61

საბავშვო გარემო 12-მდე

გამორჩეული, მისხრებული და მისხრი  
ტირანის გამარჯვებული ნომრები:

19005578

19006891

19009333

19002816

19010764

19010220

19004456

19008577

19000404

19001762

18010125

18002790

18001644

18010910

18010140

18004990

18009397

18002037

18000351

18000749

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა  
ტელეკომუნიკაციები და  
საინფორმაციო ტექნოლოგიები

28-30 აპრილი  
თბილისი, საქართველო  
შპს „საინფორმაციო ტექნოლოგიები“

GEORGIA  
TELECOM 04  
www.caspianworld.com

შენი ციფრული უფასო

საინფორმაციო ტექნოლოგიები

საინფორმაციო ტექნოლოგიები

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა  
ინსტიტუტი

აფხაზეთის მიწების  
ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის  
სამაგისტრო პროგრამაზე  
2004/5 სასწავლო წლისათვის

საბუთების მიღება წარმოებს 1 მაისიდან 20 მაისამდე  
მისამართი: მარი ბროსის 2  
ტელ: 93 14 66  
93 22 01;  
93 12 41

amara  
computers

„კამარა-კომპიუტერ“-თან  
არსებული „კომპიუტერულ – ტექნოლოგიებისა  
სასწავლო ცენტრი – ლივინოვი“ აცხადებს  
მიღებას სპეციალურად  
„კომპიუტერული ტექნოლოგიების“  
(სწავლების ხანგრძლივობა 1 წელი).  
აბრეშოვი შინაგარეშით კომპიუტერული, საბუღალტრო  
აღრიცხვისა და ინფორმაციის სისტემების პროგრამები.  
სწავლება მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ  
ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.  
ტელ: 95 29 99  
მისამართი: ბაქოს ქ. 2

საქართველოს  
საინფორმაციო  
ტექნოლოგიების  
სამინისტროს  
საინფორმაციო  
ტექნოლოგიების  
სამინისტროს

შეიძინეთ  
გაერთიანებული  
მოიგეთ!

ყოველ შაბათს,  
რუსეთის 2-ის  
პირდაპირ ეთერში  
გამართება ტელეკომუნიკაციების  
„საინფორმაციო ტექნოლოგიების“  
გათამაშება.

დაინტერესდით ინფორმაციით და კომუნიკაციების სამინისტროს  
ინფორმაციის განყოფილებაში „24 საათი“

## ნამალი “სალხინო” ქართული ფლორის საოცრება

თუ განუხებთ პროსტატიტი, ცისტაიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხერგის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამოწვანება; აგრეთვე ტკივილი წელის, გაგის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ ნამალი “სალხინო” და ეს პრობლემები მოგესხნებათ.

“სალხინო” ანესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

“სალხინო” გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმავი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღლის ბუშტის (ქოლესისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. “სალხინო” აკრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. ნამალი “სალხინო” კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გათუჯვობებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

ნამალ “სალხინოს” თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.  
ნამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.